აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№87 (25.111) 25 აგვისტო, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

ხვალ, დილით, მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

საქართველოს კონსტიტუციის დღე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

24 აგვისტოს საქართველომ კონსტიტუციის მიღების დღე აღნიშნა, რომელიც 1995 წელს ქვეყნის ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან შევიდა ძალაში.

ქართულ საზოგადოებას კონსტიტუციის მიღების დღე მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

„საქართველოს კონსტიტუცია, ჩვენი ხელშეკრულება ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან, დიდი ისტორიისა და კულტურის განმსაზღვრელ ფასეულობებს ეფუძნება. ამავდროულად, ის ახალ მიზნებსა და ამოცანებს ასახავს თანამედროვე ეპოქაში ქვეყნისა და ხალხის წინსვლა-განვითარებისათვის. ეს დღე ერთიანობის მომენტია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს საერთო გადაწყვეტილებას ნათელი მომავლის - ერთიანი, მშვიდობიანი, ძლიერი, განვითარებული საქართველოს ასაშენებლად“, - ნათქვამია საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი აწერს ხელს.

საქართველოს მოქალაქეებს გაზეთ „აჭარის“ საშუალებით ეს დღე მიულოცა და ერთიან, ძლიერ საქართველოში ცხოვრება უსურვა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

- დღეს საქართველოს კონსტიტუციის დღეა.

28 წლის წინ, 1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელმაც საქართველოს განვითარება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას დაუკავშირა.

რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კონსტიტუციის მიღება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია რამდენჯერმე გადაისინჯა. მათ შორის, 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კონსტიტუცია. მასზე თვეების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. მქონდა პატივი და ბედნიერება, ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი თავადაც ვყოფილიყავი.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით ფუნდამენტურად შეიცვალა სახელმწიფო ხელისუფლების მართვა-გამგეობის მოდელი, სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსი, საარჩევნო სისტემა, ასევე, ახლებურად ჩამოყალიბდა კონსტიტუციური დებულებები ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა სუვერენულ ნებას და ამავდროულად, ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების დონის მაჩვენებელია.

გილოცავთ საქართველოს კონსტიტუციის დღეს, გისურვებთ ერთიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას, - გვითხრა დავით გაბაიძემ.

მასწავლებელთა მხარდაჭერისთვის ცალკე ფონდი შეიქმნება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

24 აგვისტოს აჭარის მთავრობის სხდომა გაიმართა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ დამსწრეებს კონსტიტუციის დღე მიულოცა, რის შემდეგაც გაზრდილი ტურისტული ნაკადებისა და სტატისტიკის შესახებ ისაუბრა, აღნიშნა, რომ გაზრდილია ვიზიტიორთა რაოდენობა, როგორც ზღვისპირა ქალაქებში, ისე მაღალმთიან აჭარაში

- პირველ რიგში, გილოცავთ კონსტიტუციის დღეს, 24 აგვისტო ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანი თარიღია, რომლითაც საფუძველი დაედო ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიის ახალ ეტაპს და ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანს, რომ ავაშენოთ ერთიანი, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფო. ასევე, მსურს საზოგადოებას გავაცნო ინფორმაცია საზღვაო ტურისტული სეზონის მიმდინარეობის შესახებ. აქვე აღვნიშნავ, რომ სეზონის დასაწყისშივე, ომის პარტიის და მასთან დაკავშირებული რადიკალური ჯგუფების არაერთი მცდელობა, რისი მთავარი მიზანი იყო, დეზინფორმაციული კამპანიის შედეგად ჩვენი ხალხის შემოსავლის გარეშე დატოვება, წარუმატებელი აღმოჩნდა. რეგიონში, განსაკუთრებით, ზღვისპირა ქალაქებში: ბათუმსა და ქობულეთში, ასევე, მაღალმთიან აჭარაში განხორციელებული ვიზიტების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ყველაფერი მიდის გეგმის შესაბამისად, იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახული გვქონდა როგორც ტურიზმის დეპარტამენტს, ასევე, მთლიანად მთავრობას. აღვნიშნავ, რომ გასულ წელთან შედარებით, ტურისტული ნაკადები გაზრდილია 56%-ით. 2019 წელთან შედარებით, ეს ზრდა 24%-ს შეადგენს. რაც შეეხება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელებულ საერთაშორისო ფრენების რაოდენობას, ბოლო 7 თვის სტატისტიკის მიხედვით, უკვე განხორციელდა 400-ზე მეტი საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 10%-იანი ზრდაა.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მაღალმთიან აჭარაში ახალი ტურისტული ობიექტები შეიქმნა. აჭარის მაღალმთიანეთს ტურისტული დანიშნულების დაახლოებით 45 ახალი ობიექტი შეემატა, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ახალი სასწავლო წლის განახლებასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს, მუნიციპალიტეტის მერებს და შესაბამის სამსახურებს როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე საორგანიზაციო ნაწილში შესაბამისი სამობილიზაციო ღონისძიების გატარებისკენ მოუწოდა. მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მასწავლებელთა წახალისებისა და სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ახალი პროგრამების და ინიციატივების დანერგვასთან დაკავშირებით.

- მოახლოებულ ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით განათლების მინისტრს და ასევე, მუნიციპალიტეტების მერებს უნდა ვთხოვო ყველა შესაბამისი ღონისძიების გატარება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეფექტურად გატარდეს სამობილიზაციო ღონისძიებები. ასევე, ჩვენ ვაგრძელებთ განათლების მხარდაჭერას. წელს მხოლოდ აჭარაში 10-ზე მეტი სკოლის მშენებლობა და რეაბილიტაციაა დაგეგმილი. შესაბამისად, განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურული სამუშაოების ბიუჯეტი გაიზარდა 30%-ით. ის შეადგენს 33 მილიონ ლარს და 25 ათასამდე მოსწავლე ძალიან მალე შეძლებს ახალ, თანამედროვე სასკოლო გარემოში გააგრძელოს განათლების მიღება. ასევე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მასწავლებელთა მხარდაჭერის კუთხით შეიქმნას ცალკე ფონდი, რომლის საწყისი ოდენობა 300 ათას ლარს შეადგენს. ეს გადაწყვეტილება, იმედი მაქვს, დაეხმარება, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ზრდას, ასევე, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. ყველა მასწავლებელი, რომელიც დაგეგმავს და დანერგავს ინოვაციურ პროექტებს, შესაბამის საჯარო სკოლებში ისარგებლებს 500-ლარიანი დანამატით. გარდა უმაღლესი სასწავლებლების და პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებისა, ლექტორებისა, ამ დანამატით საჯარო სკოლების მასწავლებლებიც ისარგებლებენ და სრულად დაუფინანსდებათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში აისახება ჩვენი მომავალი თაობის განათლების ხარისხზე, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ.

იხ. მე-3 გვ.

ბათუმი „ღამის სერენადებს“ 2 დღეს მასპინძლობს

წელს საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „ღამის სერენადები“ მეთხუთმეტე სეზონია. იგი 22 აგვისტოს ქალაქ ბორჯომში გალაკონცერტით გაიხსნა, რომელშიც მსოფლიოში აღიარებული ისეთი მუსიკოსები მონაწილეობდნენ, როგორებიც არიან საბინე გროფმაიერი (კლარნეტი, გერმანია), ეილიკა ვუნში (სოპრანო, გერმანია), გიორგი ონიანი (ტენორი, საქართველო), რიკარდო მარინელო (ტენორი, იტალია)

ფესტივალის პირველ დღეს, ჩასულ სტუმრებთან ერთად, კონცერტზე პუბლიკის წინაშე წარსდგნენ ანსამბლი „ბორჯომი“ (ხელმძღვანელი - გიორგი ბუგიანიშვილი), გიორგი ოიკაშვილი (კლარნეტი, საქართველო); მარიამ კიკალეიშვილი (მეცოსოპრანო, საქართველო). სოლისტებს თანხლებას უწევდნენ ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ (კონცერტმაისტერი - ლელა მჭედლიძე). შესრულდა არიები ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერებიდან, ნეაპოლური სიმღერები, ინსტრუმენტული მუსიკის საყოველთაოდ აღიარებული შედევრები: იოანეს ბრამსის „უნგრული ცეკვა №5“, დიმიტრი შოსტაკოვიჩის „ვალსი №2“ და ა.შ. ასევე აჟღერდა ქართული მუსიკა - „ასე ჩონგური“ და „კუჩხიბედინერი“ ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლიდან „მეგრული სიმღერები“.

ჩვენი ქალაქი „ღამის სერენადებს“ 2 დღეს - 24-25 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში მასპინძლობს. 24 აგვისტოს

იხ. მე-6 გვ.

არ ცხრება პროტესტი საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან დაკავშირებით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რეჟისორების, სცენარისტების, მსახიობებისა და ზოგადად, ამ სფეროს წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ კინოცენტრის ხელმძღვანელად კობა ხუბუნაიას დანიშვნა, რომელიც დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ყოფილი თანამშრომელია, „ნიშნავს პირდაპირ ჩარევას კინოს ინდუსტრიაში და ცენზურის დაწესებას“, - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს 200-ზე მეტი ადამიანი აწერს და ბოიკოტს უცხადებს კინოცენტრს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ რეჟისორსა და მსახიობს, ხელოვნების სფეროში არაერთი პროექტის ხელმძღვანელ ოთარ ქათამაძეს. მისი აზრით, არა მარტო ქართულ კინოცენტრში, არამედ ზოგადად, ხელოვნებაში პოლიტიკის ჩარევა დიდი ხანია დაწყებულია

- რაც თეა წულუკიანი მოვიდა მინისტრად, მან შეუტია ყველას და ყველაფერს, მის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა მიმართულებას. გავიხსენოთ თუნდაც რაც მოხდა მუზეუმებში, მწერალთა სახლში, თეატრში და ეს პროცესი გრძელდება დღემდე. თეატრები გამოშიგნეს ალტერნატიული ხედვის, პროტესტის მქონე რეჟისორებისგან, სამხატვრო ხელმძღვანელებისგან და მარიონეტები დანიშნეს ყველგან. იქ, სადაც ვერ მოახერხეს მარიონეტების დანიშვნა, დაფინანსებები არ მისცეს თეატრებს, ათასი სადამსჯელო ხერხი ჩართეს. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, იმიტომ ხდება, რომ თეა წულუკიანს ჰგონია, ხელოვნებას დაიმორჩილებს, მაგრამ ეს არ გამოუვა, რადგან ქართველი ხელოვანი თავისუფალია. ჩვენ არ ვცხოვრობთ პუტინისტურ ქვეყანაში, სადაც ხელოვანი დამონებულია. საქართველოში შეიძლება დაიმონო შენობები, რაღაც ინსტიტუციები, მაგრამ ხელოვანს, ინდივიდს, ადამიანს თეა წულუკიანი ვერ დაიმონებს. კულისებიდან ყველა ინფორმაცია მოდის ჩვენამდე - რას მსჯელობენ, ვისზე მსჯელობენ, როგორ მიაქვთ წულუკიანთან კრიტიკულად მოაზროვნე ხელოვანების სია, როგორ უყურებენ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მათ სტატუსებს და ასე შემდეგ. ეს არის წულუკიანის მცდელობა, შიშზე, დიქტატზე ააშენოს მმართველობა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდება. ის ვერ შეძლებს ქართველი თავისუფალი აზროვნების ხელოვანის დამონებას, - გვითხრა ოთარ ქათამაძემ.

კინოცენტრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე გაზეთ „აჭარასთან“, ასევე, ისაუბრა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალ „ბიაფის“ მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა:

- პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, აქტიური კომუნიკაცია და დიალოგი მიდიოდეს კინოსექტორთან. კინოსექტორის წარმომადგენლებმა ყველაზე კარგად იციან, რა პრობლემები, რა საჭიროებებია აღნიშნულ სფეროში, რომლებთან გამართული აქტიური და ეფექტური კომუნიკაციით მარტივად შეიძლება არსებული პრობლემების მოგვარება. კომუნიკაციის ნაკლებობა, კინოსექტორის წარმომადგენლების არჩართვა პროცესში კი ცხადია, განაპირობებს არსებულ, საწინააღმდეგო პროცესებს, კინოსექტორის წარმომადგენლების ბოიკოტს, - გვითხრა ელიზიანმა.

საქართველოს კულტურის სამინისტრო თავის ოფიციალურ განცხადებაში ამბობს, რომ ის, რაც კინოცენტრის ახალი ხელმძღვანელის მისამართით ხდება, „ქართული კინოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია“. მათივე თქმით, „არასერიოზულად გამოიყურება ზოგიერთი განცხადება იმასთან დაკავშირებითაც, რომ თითქოს კინოცენტრის რეფორმა და მისი გაძლიერების პრიორიტეტი კინოს დარგში ცენზურას ისახავდეს მიზნად“.

ქრონიკა

შოვში, სტიქიური უბედურების ზონაში სამძებრო სამუშაოები 22-ე დღეა გრძელდება. ბოლო მონაცემებით, 3 აგვისტოს შოვში მომხდარმა სტიქიამ 31 ადამიანი იმსხვერპლა, დაკარგულია 2 მოქალაქე.

სამძებრო სამუშაოები მდინარეების - რიონისა და ჭანჭახის კალაპოტებში, ასევე მასზე არსებულ კუნძულოვან მონაკვეთებზე მიმდინარეობს.

სამძებრო სამუშაოებში ჩართულია როგორც ცოცხალი ძალა, ასევე, მძიმე ტექნიკა და მცურავი საშუალებები.

ამასთან, გარემოს ეროვნული სააგენტოს და გეოლოგთა ჯგუფის მიერ პერიოდულად მიმდინარეობს მთების და მწვერვალების მონიტორინგი.

სტიქიის დროს დაღუპული 3 მოქალაქე სოფელ ლაგვანთაში დაკრძალეს. შოვში, მოქალაქეთა თხოვნით, მიწის მასის გარკვეული ნაწილი ხელმეორედ დამუშავდა.

* * *

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში აჭყვის მასივს აწესრიგებს. ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 4 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები გაიწმინდება, რაც წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, 30 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება.

სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად ისრაელის სახელმწიფოში იმყოფებოდა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაური ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ისრაელის სახელმწიფოში ლაშა ჟვანიამ განაცხადა, რომ ეს ვიზიტი იქნება ძალიან ბევრი ახალი საკითხის დაძვრის საწინდარი და ახალ დასაბამს მისცემს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს, მათ შორის ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში.

* * *

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსა და სამოქალაქო კომიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, აკვაკულტურის დარგში არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს ქობულეთში, თევზის მწარმოებელ ფერმერებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. შეხვედრის ორგანიზატორებია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ინიციატორი - აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, აღნიშნული სამინისტროების, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები და რეგიონის თევზის მწარმოებელი ფერმერები ესწრებოდნენ.

* * *

შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. სიახლეების მთავარი მიზანია საზღვარგარეთ დასაქმების მსურველი საქართველოს მოქალაქეების უფლებების მაქსიმალური დაცვა, ასევე - საქართველოში მცხოვრები და დასაქმებული უცხოეთის მოქალაქეების სისტემური აღრიცხვა და მათი უფლებების დაცვა. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, შუამავალ კომპანიებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ დასაქმებაში ეხმარებიან, სერტიფიცირების ვალდებულება ეკისრებათ. ამასთან, სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში მოხდება საქართველოში დასაქმებული უცხოეთის მოქალაქეების აღრიცხვა. გარდა ამისა, ქვეყანაში შრომითი ბინადრობისა და ემიგრაციის ვიზების ფლობისთვის სავალდებულო ხდება ამავე სისტემაში რეგისტრაცია. ცვლილებების მაქსიმალური ეფექტურობისთვის ახალი კანონი მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმებსაც ითვალისწინებს, რომელსაც შრომის ინსპექციის სამსახური განახორციელებს.

* * *

უმსხვილესი ამერიკული სამოგზაურო ინტერნეტპლატფორმა „ეარზპიქსი“ აჭარის ტურისტული მიზიდულობის შესახებ მასალას ამზადებს. ციფრული მედიის სამოგზაურო პლატფორმა „ეარზპიქსის“ 24 მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავს და მსგავსი პლატფორმების ტოპ ხუთეულშია. აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში განმარტავენ, მაიამიში დაფუძნებული სამოგზაურო ინტერნეტპლატფორმა აჭარას ციფრული მარკეტინგის საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში სტუმრობს. „ეარზპიქსი“ აუდიტორიას აჭარაში მოგზაურობის დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს, ბუნების, კულტურის, მთისა და ზღვის კონტრასტით მიღებულ ემოციებს უზიარებს. მას თვეში 400 მილიონზე მეტი ადამიანი სტუმრობს, ხოლო მათი ვიდეოების ნახვების ჯამი 1 მილიარდს აჭარბებს.

* * *

იორდანიაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 20 წლამდე ასაკის მოჭიდავეებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები დაკომპლექტებული იყო ათი (სხვადასხვა წონითი კატეგორიის) სპორტსმენისაგან, აქედან რვა - აჭარის წარმომადგენელი იყო. მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის აღსაზრდელმა აჩიკო ბოლქვაძემ 87 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. მან ფინალში ირანელი მეტოქე დაამარცხა და ამ რამდენიმე ხნის წინ მოპოვებულ ევროპის ჩემპიონობას მსოფლიოს უმაღლესი სინჯის მედალიც მიუმატა. დათა ჩხაიძე (82 კგ) და ანრი ფუტკარაძე (72 კგ), რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად მონაწილეობდნენ, ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

* * *

აჭარის მეფუტკრეობის ბიზნესასოციაციისა და საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების ორგანიზებით, 19-20 აგვისტოს ბათუმმა თაფლის ფესტივალს უმასპინძლა. „ევროპის მოედანზე“ მოწყობილ გამოფენაში აჭარის, გურიის, რაჭის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან არაერთი მეფუტკრე და სხვადასხვა პროდუქტის მწარმოებელი კომპანია, კერძო სექტორის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ორი დღის განმავლობაში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ, დაეგემოვნებინათ და შეეძინათ საუკეთესო ქართული თაფლის სხვადასხვა სახეობა, მიეღოთ ყველა ინფორმაცია, რაც მეფუტკრეობას უკავშირდება. ფესტივალის მხარდამჭერის - აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინფორმაციით, ფესტივალი წელს მეხუთედ ტარდება, მისი პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება და ადგილობრივი ხელისუფლების დიდი მხარდაჭერაც აქვს.

* * *

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს შორის რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა შვიდი მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრების წევრები, მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლის აღსაზრდელები - ფრიდონ აბულაძე (60 კილოგრამი წონითი კატეგორია) და რამაზ ზოიძე (72 კგ) ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ.

* * *

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში ერთი კვირის განმავლობაში საჭადრაკო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი - 2023“ მიმდინარეობდა 8, 10, 12 და 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. მასში ესპანეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ფიდეს სახელით მოასპარეზე 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ეს ტრადიციული ფესტივალი აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. თითოეული ასაკობრივი კატეგორია შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად ჩატარდა, 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ფიდეს რეიტინგი ითვლებოდა. ყველა ასაკობრივ კატეგორიაში დაჯილდოვდა გამარჯვებული ხუთეული. საუკეთესოებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, პირველი სამეული, ასევე - მედლით, ხოლო ჩემპიონები - თასით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

* * *

იმ სოციალურად დაუცველ 30-მდე სტუდენტს, რომლებიც მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იღებენ საქართველოს მთავრობისგან და რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე უმაღლეს ქულებს აიღებენ, ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის საფასურს გადაუხდის, ოთხი წლის განმავლობაში ასევე დაუფინანსებს ცხოვრების ხარჯებსაც. ამერიკის სავაჭრო პალატა სტიპენდიატების მხარდაჭერას კიდევ არაერთი მიმართულებით გეგმავს, მათ შორის, ისინი სტუდენტებს ანაზღაურებადი სტაჟირების პოვნაში დაეხმარებიან. ასევე, ხელს შეუწყობენ ინგლისური ენისა და საოფისე საბაზისო უნარების განვითარებაში. ამერიკის სავაჭრო პალატა წარმოადგენს ბიზნესსექტორში მოღვაწე ადამიანთა ჯგუფს, რომლის მთავარი მიზანი დემოკრატიული, ღია და დასავლური ორიენტაციის საქართველოს გაძლიერებაა. ორგანიზაციის ინფორმაციით, სტიპენდიის მსურველმა სტუდენტებმა განაცხადი უნდა შეავსონ, ასევე, დაწერონ სამოტივაციო წერილი, სადაც უნდა აღწერონ, რატომ სურთ არჩეულ საუნივერსიტეტო პროგრამაზე სწავლა და აქვთ სურვილი შეუერთდნენ ამერიკის სავაჭრო პალატის ქსელს.

* * *

უკრაინაში მიმდინარე ომს კიდევ ერთი ქართველი ემსხვერპლა. 40 წლის ნიკა ახვლედიანი ბახმუტთან მტრის მიერ ნასროლი ჭურვის დაცემის შედეგად დაიღუპა. ინფორმაცია დაადასტურა საქართველოში უკრაინის საელჩომაც. „ნიკოლოზ ახვლედიანი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვისას დაიღუპა. მარადიული ხსოვნა მას!“ - წერია საელჩოს განცხადებაში.

* * *

ბათუმში მწერების საწინააღმდეგო შეწამვლითი ღონისძიებები მიმდინარეობს. მწერებისა და მღრღნელების გასაუვნებელყოფად იტალიური ეზოები თვეში ერთხელ, ხოლო მრავალბინიანი სახლების სარდაფები და სადარბაზოები თვეში ორჯერ, სპეციალური ხსნარით იწამლება. დეზინსექციის სამუშაოები მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდება. ფიქსირდება შემთხვევები, როცა დეზინსექციის სამუშაოების ჩატარებისთვის მოსახლეობისგან თანხას ითხოვენ, რაც არანაირ კავშირშია სანდასუფთავების სამსახურთან.

„სანდასუფთავება“ მოგიწოდებთ, არ გადაიხადოთ აღნიშნული მომსახურებისთვის მოთხოვნილი თანხა, რადგან სადეზინსექციო სამუშაოებს სანდასუფთავების სამსახური უფასოდ ახორციელებს. პრობლემის არსებობის შემთხვევაში, დარეკეთ შპს „სანდასუფთავების“ ცხელ ხაზზე - 0 422 242 000, 577 49 59 59.

უცხოური პრაქტიკის გაზიარება და ქართულ რეალობაზე მორგება უფრო გააძლიერებს ჩვენს ინსტიტუციებს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ამირან ხიმშიაშვილი შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებას ხელმძღვანელობს. იგი შუახევის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით სტრუქტურებში დასაქმებულთაგან ერთადერთია, რომელმაც სტაჟირება უცხოეთში გაიარა

- აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობა, პირველ რიგში, დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ტურიზმი და ახალგაზრდული მიმართულება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომასა და სხვადასხვა კომპეტენციის ფლობას, რათა სწორად მოხდეს იმ პროექტებისა და პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია, რომლებიც რეალობით არის ნაკარნახევი. მოხარული ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა, ვაკეთო ის საქმე, სადაც თავს მოტივირებულად ვგრძნობ და რომელიც ძალიან მიყვარს.

- ამ თანამდებობაზე მოსვლამდე რა გზა გამოიარეთ?

- დავასრულე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. ასევე, ჩავაბარე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო განათლებაში და დღემდე ვასწავლი სოფელ დაბაძველის საჯარო სკოლაში. ვარ „მომავალ ლიდერთა სკოლის“ (ELS) კურსდამთავრებული, რომელიც განხორციელდა პროექტ „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.

- რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა ერთწლიანი მივლინება უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად?

- ევროპის სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში, 3 თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი რუმინეთში, სადაც ვიმუშავე ბოშა ბავშვებთან, რათა ხელი შეგვეწყო ბოშა თემის საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. პროექტის დასრულების შემდეგ, შვიდი თვის განმავლობაში, ვმუშაობდი ლიეტუვაში, კერძო სკოლასა და ადრეული განათლების დაწესებულებაში. როგორც მასწავლებელს, მიღებული გამოცდილება დამეხმარა შემდგომ პროფესიულ ზრდაში. განსაკუთრებით საამაყო და მნიშვნელოვანია, რომ ვმუშაობდი უკრაინელ ბავშვებთან, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომის გამო იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ სამშობლო. მათ ინგლისური ენის შესწავლასა და ომით მიღებული სტრესული ფონის დაძლევაში ვეხმარებოდი.

- იქ მიღებული ცოდნა და გავლილი პრაქტიკა რამდენად გამოგადგათ ქართულ რეალობაში?

- მიღებულმა პრაქტიკამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მთავარია სწორი სტრატეგიული დაგეგმარება, სისტემური მიდგომა, რომელიც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმიანობისთვისაა აუცილებელი. მიმაჩნია, რომ უცხოური პრაქტიკის გაზიარება და ქართულ რეალობაზე მორგება, უფრო მეტად გააძლიერებს ჩვენს ინსტიტუციებს.

- რომელი ქვეყნის ახალგაზრდებთან გაქვთ საქმიანი კონტაქტები?

- ლიეტუვასა და რუმინეთში ყოფნის დროს შევიძინე მეგობრები, მათ შორის, უკრაინიდან, თურქეთიდან, სლოვენიიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, გერმანიიდან... ლიეტუვიდან დაბრუნების შემდეგ, ჩავატარე ონლაინ-საინფორმაციო შეხვედრა ევროპის სოლიდარობის კორპუსისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების შესახებ, სადაც ადგილობრივ ახალგაზრდებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს გერმანიისა და საბერძნეთის მოხალისეებმა. ვფიქრობ, მსგავსი შეხვედრების ორგანიზება ახალგაზრდების მოტივირებისა და სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში ჩართულობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

- კიდევ ერთ საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდეთ...

- ლიეტუვაში, გარდა დაწყებითი სკოლისა, ვასწავლიდი ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფში ინგლისურ ენას. მიღებულმა გამოცდილებამ მომცა სტიმული, სკოლამდელ განათლებაში მომესინჯა ძალები და მიღებული გამოცდილება გამეზიარებინა ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის“ პოზიციაზე. წარმატებით გავიარე ყველა ეტაპი და ხუთი წლის ვადით მომენიჭა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსი. ეს სტატუსი დამეხმარება, რომ ხელი შევუწყო ამ დარგის ხარისხის ამაღლებას არა მარტო მუნიციპალიტეტში, არამედ ქვეყნის მასშტაბით. დრო არასდროსაა საკმარისი, მთავარია, სწორად დავალაგოთ პრიორიტეტები და გამოწვევებს არ შევუშინდეთ.

- ერთ წელზე მეტია, შუახევში არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაცია „გადასხვაფერდი“ მოქმედებს...

- ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. ძლიერი სამოქალაქო სექტორი ნიშნავს ძლიერ, ინოვაციებზე და განვითარებაზე ორიენტირებულ მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ჩვენთვის, მუნიციპალიტეტისთვის, მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველვყოთ სექტორთაშორისი თანამშრომლობა სხვადასხვა აქტორის ჩართულობით. „გადასხვაფერდისთან“ თანამშრომლობით განვახორციელეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, კერძოდ: „ჩემი თემის ხმა“, „ისწავლე და ასწავლე სწორი არჩევანისთვის“, რომელიც დასავლური ინტეგრაციის პროცესების შესახებ ცნობიერებისა და მედიაწიგნიერების უნარების ამაღლებას უწყობდა ხელს, ასევე, გავხსენით ახალგაზრდული სივრცე დაბა შუახევში, რომელიც სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ ფინანსური დახმარებით შესაბამისი ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვა.

- არსებული ბიუჯეტი თუ გიწყობთ ხელს, რომ საქმიანობა მომავალშიც გაგრძელდეს?

- მაქსიმალურად ვცდილობთ ფინანსების რაციონალურად განაწილებას, რათა შევძლოთ წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება. გარდა ამისა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოსთან მიზნობრივი, წარმატებული თანამშრომლობა სამომავლოდ ფინანსების ზრდის გარანტიაა.

- აგვისტოს დასაწყისში შუახევიდან ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში გააცილეთ. რა კრიტერიუმით შეარჩიეთ ისინი?

- ანაკლიის მომავლის ბანაკი საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ „ახალგაზრდული სააგენტოს“ მიერაა შექმნილი და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი აქტივობების პროგრამაა შემუშავებული. შუახევის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ ბანაკში უკვე მონაწილეობა მიიღო 12-მა ახალგაზრდამ. ძირითადად, სოციალური სტატუსის (მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველ ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის შვილი) მიხედვით შევარჩიეთ.

- შუახევში ტურიზმი დღითი დღე ვითარდება. რა ახალ ლოკაციებს სთავაზობთ უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს?

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტზე (2024-2027 წწ), რომელშიც მთავარი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების საშუალოვადიანი ხედვის შემუშავებას დაეთმობა. ამ ეტაპზე მთავარი აქცენტი გადატანილია შუახევში ტურისტული მიზიდულობის ცენტრების შექმნაზე, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონის მასშტაბით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სასიხარულოა, რომ შემუშავებულია ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების კონცეფცია და უკვე დაწყებულია მთა ჩირუხში ორზოლიანი ზიპლაინის მშენებლობა, რომელიც თავისი უნიკალური კონცეფციით მრავალ ვიზიტიორს მოიზიდავს.

- ამ ეტაპზე მთავარი აქცენტი სამთო ტურიზმზეა გადატანილი. რის გაკეთებას აპირებთ ისტორიული და საკულტო ნაგებობების ტურისტულ ლოკაციებში ჩასართავად?

- მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი იდენტობის, თვითმყოფადობისა და ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათ დაცვას, შენარჩუნებას და განახლება-კონსერვაციას. აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიის საკულტო ნაგებობები დაცული და ხელმისაწვდომი იყოს. რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნება უფრო მეტად მიმზიდველს გახდის მუნიციპალიტეტს. ვმუშაობთ მათ Google map-ზე დატანაზე, რათა ვიზიტიორებმა შეძლონ მონახულება.

- შუახევში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდაა. მათ სწავლა, კვალიფიკაციის ამაღლება უცხოეთის წამყვან სასწავლებლებში სურთ. რამდენად მისაღწევია ეს?

- ახალგაზრდებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია უცხოეთში არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ. წელს, აგვისტოში, გვქონდა ონლაინ-საინფორმაციო შეხვედრა მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (Flex) თაობაზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ახორციელებს. შუახეველ ახალგაზრდებს დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ რეკრუტერმა რიმა ბერიძემ გააცნო. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები წარმატებით არიან ჩართული კვალიფიკაციის ასამაღლებელ საერთაშორისო პროექტებშიც და საამაყოა, რომ ბევრი მათგანი ბრუნდება უკან ევროპული განათლებით. საერთაშორისო პროექტებში ჩასართავად აქტიურად მუშაობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო „ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრთან“ ერთად, რომლის პროგრამებშიც ჩართვა შუახეველ ახალგაზრდებსაც შეუძლიათ.

- საიდუმლო, რომელიც ვერ გაამხილეთ და სანანებელი გაგიხდათ...

- მაქსიმალურად ვცდილობ მოზომილი ნაბიჯების გადადგმას და ჩემი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასებას. არ ვეჭიდები იმ საქმეს, რომელიც ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. შესაბამისად, მსგავსი ფაქტი არ მახსენდება.

- სხვისი სიტყვის მორჩილი თუ ყოფილხართ?

- ჩემთვის მთავარი ავტორიტეტები მშობლები არიან, ამიტომ მათი რჩევა-დარიგება, თუნდაც შენიშვნები, ყოველთვის ანგარიშგასაწევია.

- დღეში რამდენ საათს უთმობთ კომპიუტერთან მუშაობას?

- ბოლო პერიოდში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპიუტერი ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ვცდილობ, დავაბალანსო თავისუფალი დრო და უფრო მეტად ფიზიკური აქტივობით დავკავდე. ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ და ჩვენი დღის წესრიგი ბოლო წლებში, კარდინალურად შეიცვალა.

- სხვა საჯარო სამსახურში ან კერძო სტრუქტურაში სამუშაოდ გადასვლა ხომ არ შემოუთავაზებიათ?

- კი, მაგრამ ამ ეტაპზე მსურს, ჩემი უნარი და შესაძლებლობა მშობლიურ შუახევს მოვახმარო - აქაც ბევრია გასაკეთებელი.

- დაბოლოს, კარგად დასრულებულ საქმედ რას მიიჩნევთ?

- მთიან აჭარაში შუახევი იყო პირველი მუნიციპალიტეტი, სადაც მერის ინიციატივით შევქმენით „მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო“. მეამაყება, რომ საბჭო გადაწყვეტილების მიღებაში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა. სხვა საქმეებზე უკვე ვისაუბრე.

> ***„ ამ ეტაპზე მთავარი აქცენტი გადატანილია შუახევში ტურისტული მიზიდულობის ცენტრების შექმნაზე, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონის მასშტაბით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სასიხარულოა, რომ შემუშავებულია ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების კონცეფცია და უკვე დაწყებულია მთა ჩირუხში ორზოლიანი ზიპლაინის მშენებლობა, რომელიც თავისი უნიკალური კონცეფციით მრავალ ვიზიტიორს მოიზიდავს***

მასწავლებელთა მხარდაჭერისთვის ცალკე ფონდი შეიქმნება

პირველი გვერდიდან

მთავრობის სხდომაზე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებითაც იმსჯელეს. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი პროგრამა - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე'“ აქტიურად მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში ავარიულ სახლებში მცხოვრები 3000-მდე ოჯახი ახალი საცხოვრისით იქნება უზრუნველყოფილი.

- საკითხი, რომელიც ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე აქტუალურია, გახლავთ პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“. ამ მიმართულებით, უკვე გვაქვს ხელშესახები შედეგები. 10-ზე მეტი მრავალბინიანი ახალი, თანამედროვე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. შემდეგ თვეებში, კერძო სექტორის ჩართულობით, ეს რაოდენობა გაორმაგდება და როგორც დავგეგმეთ, შემდეგი 2 წლის განმავლობაში სრულად დაკმაყოფილდება 3 ათასამდე ოჯახი, რომელიც აქამდე ავარიულ პირობებში ცხოვრობდა. ისინი სრულად იქნებიან უზრუნველყოფილი ახალი და რაც მთავარია, უსაფრთხო გარემოთი, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

სხდომაზე ასევე, აღინიშნა, რომ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს წყალმომარაგების, წყალარინების სისტემების მოწყობა საერთაშორისო პარტნიორებთან, დონორებთან თანამშრომლობით, რომელთა დასრულებაც 2025 წლისთვის არის დაგეგმილი.

- პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ახალი ბაღების მშენებლობა. 2025 წლისთვის დავასრულებთ, პრაქტიკულად, ყველა დასახლებულ პუნქტში, ახალი, როგორც წყალმომარაგების, ასევე წყალარინების სისტემების მოწყობას. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, დონორებთან თანამშრომლობით ამ მიმართულებითაც უკვე გვაქვს შესაბამისი შედეგები. 2025 წლისთვის რეგიონმა უნდა უმასპინძლოს არანაკლებ 6 მილიონ ტურისტს და ასევე, უნდა შევძლოთ ბიუჯეტის მილიარდ ლარამდე გაზრდა. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება და ეს არის ამოცანა, რომელიც მთლიანად სამთავრობო გუნდმა დაისახა. ამის პარალელურად, ყველა ძირითადი ინფრასტრუქტურა შემდეგი სამი წლის განმავლობაში როგორც ბათუმში, ასევე, ყველა სხვა მუნიციპალიტეტში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იქნება დასრულებული. იქნება გრძელვადიანად საიმედო და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – მანელიშვილების „ბათუმური ბელეტაჟი“ არსებობისთვის იბრძვის (!)

შაქრო მანელიშვილისა და ფერიდე ნიჟარაძის ოჯახს, ასევე, მის შვილებს - ეთერსა და ნათელას ბათუმის საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად იცნობს. ისინი ქალაქის ცენტრში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის №14-ში, ძველ ბულვართან ახლოს, ბელეტაჟიან სახლში ცხოვრობენ. ბათუმის ეს პრესტიჟული ადგილი მრავალსართულიანი კორპუსის ასაშენებლად უკვე ძალიან დიდი ხანია, სხვადასხვა ინვესტორის ინტერესის საგანია

1998 წელს გაქურდეს, სახლიდან 5 ფერწერული ტილო და ანტიკვარული ნივთები გაიტანეს. 2011 წელს გვერდით დაწყებულმა მშენებლობამ და მეზობლებმა უკანონოდ მიითვისეს მათი ეზოს (96 კვმ) ნაწილი, შემდეგ, ასევე უკანონოდ, სახლი შემოუღობეს... 2 წლის წინ, შუაღამით, მეზობელი სახლიდან მათ სახურავზე ქვის ლოდები დააყარეს, რის გამოც სახურავი ისე დაზიანდა, ყოველ გაწვიმებაზე სახლშიც აწვიმთ (სახურავის შეკეთებაზე დამზიანებელს არცკი უზრუნია). არაერთხელ, უკითხავად, საძირკველიც გამოუთხარეს... სახლის მარჯვენა მხარესაც მაღალსართულიანი კორპუსი შენდება. ბელეტაჟიანი სახლი ყოველი მხრიდან მაღალსართულიან კორპუსებს შორისაა მომწყვდეული და, ფაქტობრივად, მზე მხოლოდ ქუჩის მხრიდან შედის. დები დარწმუნებულები არიან, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება, რათა სახლის გაყიდვა აიძულონ.

საგვარეულო სახლი ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მისი მესაკუთრეებისთვის იმდენად ძვირფასია, რომ ინვესტორების მიერ შეთავაზებულ არაერთ წინადადებაზე თქვეს უარი.

ამ ორ ქალბატონს ვესტუმრეთ და ვითარებას ადგილზე გავეცანით. გვერდითა ფანჯრიდან, რომელ მხარესაც მაღალსართულიანი სახლი შენდება, ნათლად ჩანს, რომ კედლებს შორის დაშორება 20 სანტიმეტრიც არ არის. ელექტროგაყვანილობა სახლში სწორედ ამ ადგილიდან შედის. ადგილზე მისულებს ქალბატონმა ეთერმა გვაჩვენა, თუ როგორ თხრიდნენ მათი სახლის ქვეშ ორმოს (სავარაუდოდ, საკანალიზაციო მილების მისაერთებლად). როცა შევეკითხეთ, თავს რითი იმართლებს მეზობელი მხარე, ჩვენ ასე გვჭირდება, ასე გვეუბნებიანო.

- სახურავების არაერთხელ ჩატეხვის გამო, წვიმის წყალი ნიაღვარივით ჩამოდის, რამაც ელექტროგაყვანილობა დააზიანა. ერთ ნაწილში სახლის ნახევარ მხარეს შუქი 2 წელია, არ ინთება, - ამბობს ნათელა მანელიშვილი.

- ისე ვიცხოვრე, არავისთვის არაფერი დამიშავებია, არც ცუდი საქმე და სიტყვა მიკადრებია. ჩვენი მშობლების აშენებულ სახლში ვცხოვრობთ, ყველას მხარში ვუდგავართ, რითაც შეგვიძლია, ვაფასებთ. რა დავაშავეთ, ვერ გამიგია. ვის არ მივმართეთ, მაგრამ - უშედეგოდ. როცა მამა გარდაიცვალა, ოჯახში მხოლოდ ქალები დავრჩით - დედა, მე და ჩემი და. როცა ქალები მარტო დაგვინახეს, შეტევაზე გადმოვიდნენ - ჯერ ეზო წაგვართვეს, შემდეგ სახურავი ჩაგვიმტვრიეს. ეს სახლი ბათუმური ბელეტაჟია და ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალშია. იგი დედ-მამამ ააშენა. რა თქმა უნდა, ყველას უნდა 300 კვმ მიწის ფართობი. მოგვეცით, მოგვყიდეთო - გვეუბნებიან. ვეუბნებით, არ ვყიდით. არ ესმით - ხან ვის გვიგზავნიან, ხან - ვის. საკმაოდ სოლიდურ თანხასაც გვთავაზობენ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე სახლის ჩამონგრევის შემდეგ ახალი პროგრამა ამოქმედდა - „ბათუმი - ავარიული სახლების გარე 2 წელია, არ ინთება, - ამბობს ნათელა მანელიშვილი.

- ისე ვიცხოვრე, არავისთვის არაფერი დამიშავებია, არც ცუდი საქმე და სიტყვა მიკადრებია. ჩვენი მშობლების აშენებულ სახლში ვცხოვრობთ, ყველას მხარში ვუდგავართ, რითაც შეგვიძლია, ვაფასებთ. რა დავაშავეთ, ვერ გამიგია. ვის არ მივმართეთ, მაგრამ - უშედეგოდ. როცა მამა გარდაიცვალა, ოჯახში მხოლოდ ქალები დავრჩით - დედა, მე და ჩემი და. როცა ქალები მარტო დაგვინახეს, შეტევაზე გადმოვიდნენ - ჯერ ეზო წაგვართვეს, შემდეგ სახურავი ჩაგვიმტვრიეს. ეს სახლი ბათუმური ბელეტაჟია და ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალშია. იგი დედ-მამამ ააშენა. რა თქმა უნდა, ყველას უნდა 300 კვმ მიწის ფართობი. მოგვეცით, მოგვყიდეთო - გვეუბნებიან. ვეუბნებით, არ ვყიდით. არ ესმით - ხან ვის გვიგზავნიან, ხან - ვის. საკმაოდ სოლიდურ თანხასაც გვთავაზობენ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე სახლის ჩამონგრევის შემდეგ ახალი პროგრამა ამოქმედდა - „ბათუმი - ავარიული სახლების გარეშე“... ჰოდა, სპეციალურად აზიანებენ სახლს, რომ ავარიული მდგომარეობა შექმნან. დაგვანახონ, რომ სახლი ავარიულია და ამის გამო მაინც გავყიდოთ, რაც არ გამოუვათ. უმაღლესი ხარისხის მასალით აშენებდა მამა ამ სახლს. კედლები მისი შელესილია, ორნამენტებიც კი მისი ხელითაა გაკეთებული. მამის გარდაცვალების შემდეგ ერთი წუთითაც არ გვიცხოვრია მშვიდად, გამუდმებით შემოტევაზე არიან გადმოსულები. ასე როგორ შეიძლება?! სახლის ნახევარ მხარეს, ფაქტობრივად, ვერ ვიყენებთ. ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან ებრძოდნენ ამ სახლს, თანამდებობის პირებიც კი, - გვეუბნება ეთერ მანელიშვილი.

ახალ კორპუსს მანელიშვილების მარჯვენა მხარეს კომპანია „GM BUILD“ აშენებს. მანამდე ამ კორპუსის ადგილას 3-სართულიანი სახლი იდგა, დისტანციაც დაცული იყო. ახალი კორპუსი ხარაზების ოჯახმა გადაიფორმა. რეალურად, „GM BUILD“-ს 2016 წელს გაცემული ნებართვა, მანელიშვილების თანხმობა მშენებლობაზე და დამტკიცებული პროექტი არ აქვს, რადგან მაშინ ვაჟა-ფშაველას ქუჩის №14-ის მესაკუთრე სხვა ფიზიკური პირი იყო, რომელსაც კორპუსის მშენებლობა არ დაუწყია. ამ კომპანიაში დები მანელიშვილების პრეტენზიებზე კომენტარს არ აკეთებენ.

როგორც ქალბატონმა ეთერმა გვითხრა, ბათუმის მერიაში შესული განცხადების მიხედვით, ხარაზების ოჯახს 4-სართულიანი სახლი უნდა აეშენებინა, თუმცა მშენებლობა 10 სართულს ასცდა. გვერდითა მხრიდან ფანჯრების გაჭრის უფლებაც ითხოვეს, რაზეც დები მანელიშვილები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ, დღეს კი ეუბნებიან, რომ ბათუმის ყოფილ მერს, გიორგი ერმაკოვს გაუცია ასეთი სახით მშენებლობის ნებართვა, რისიც ეთერ მანელიშვილს არ სჯერა.

- დარწმუნებული ვარ, არანაირი ნებართვა არ არის გაცემული. არც ოფიციალური პროექტი არსებობს. რომ არსებობდეს, სახლი 4-სართულიანი უნდა ყოფილიყო და ჩემი სახლიდან - 3 მეტრის დაცილებით. სართულებს ვეღარ ვითვლით, მგონი ათს ასცდა, - ამბობს ეთერ მანელიშვილი.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში წერია, რომ სახლებს შორის მანძილი არანაკლებ 5 მეტრი უნდა იყოს. ყურადღება გამახვილებულია ფანჯრების გაჭრაზეც, ანუ თუ ერთ მეზობელს გვერდითა მხარე უფანჯრებო აქვს, მეორეს სრული უფლება აქვს, გვერდით კორპუსი 3 მეტრშიც ააშენოს.

მანელიშვილების სახლის ფანჯრის მხარე, რომელიც შენობის უკანა ნაწილშია (თუმცა გვერდითი მხარეა) პირდაპირ მშენებლობას უყურებს, ახალი კორპუსის გვერდითა მხარე უფანჯრებოა, თუმცა, როგორც დები ამბობენ, ის მეტრ-ნახევარი (3 და 5 მეტრზე ლაპარაკი ზედმეტია), რომელიც დისტანციის სახით უნდა ყოფილიყო სახლებს შორის, მათი ეზოს ნაწილი იყო, რომელიც უკანონოდ მიითვისეს და მაქსიმალურად გამოიყენეს.

- ისეთი პროექტი არ არსებობს, სადაც დისტანცია არ არის დაცული. ჩვენს სახლსა და ახალ კორპუსს შორის დისტანცია უნდა ყოფილიყო მინიმუმ მეტრ-ნახევარი! ამ საკითხზე ბათუმის მერს, არჩილ ჩიქოვანსაც მივმართეთ, დაგვპირდა, რომ მინიმუმ მეტრი და 30 სანტიმეტრი იქნებოდა დისტანცია, მაგრამ ფაქტი სახეზეა. 20 სანტიმეტრი არც იქნება ჩვენსა და მეზობელ სახლს შორის მანძილი. დილიდან ღამემდე წერაქვებით მუშაობენ, ფაქტობრივად, სახლის დაზიანება სურთ. ყველა მხრიდან უკვე ცემენტის კედლებია. ოდესღაც მზიან და ნათელ სახლში ყველგან ნესტია, არავინ გვისმენს, აშკარად გვავიწროებენ იმის გამო, რომ უკვე ხანდაზმულები, თანაც ქალები ვართ. ფიქრობენ, ვერ დავიცავთ თავს და სახლს გავყიდით, - ამბობს ეთერ მანელიშვილი.

ამ დრომდე სასამართლოსაც ვერ მიმართეს, რადგან ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ამის საშუალება არ აქვთ.

- იმდენი თანხა სჭირდება სასამართლო დავას, როგორ ვიდავოთ?! პროცესები კი წლების განმავლობაში იწელება. ჩვენი მეზობელი თითქმის 8 წელია, სასამართლოში ჩივის და სამართალს ვერ ეღირსა. გამწარდა. ნამდვილად არ გვაქვს ამის ნერვები, დრო და არც საშუალება. არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ვინც გაგვამწარა, ყველა უფალმა მკაცრად დასაჯა, მაგრამ ჩვენ - რა?! - ამბობს ქალბატონი ეთერი.

> ***„ ფაქტი სახეზეა. 20 სანტიმეტრი არც იქნება ჩვენსა და მეზობელ სახლს შორის მანძილი. დილიდან ღამემდე წერაქვებით მუშაობენ, ფაქტობრივად, სახლის დაზიანება სურთ. ყველა მხრიდან უკვე ცემენტის კედლებია. ოდესღაც მზიან და ნათელ სახლში ყველგან ნესტია, არავინ გვისმენს, აშკარად გვავიწროებენ იმის გამო, რომ უკვე ხანდაზმულები, თანაც ქალები ვართ. ფიქრობენ, ვერ დავიცავთ თავს და სახლს გავყიდით***

თაობა

3-ჯერ მოპოვებული ევროკავშირის დაფინანსება და 100%-იანი გრანტი

დიანა ინაიშვილი ბათუმში დაიბადა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა, შემდეგ კი ლიეტუვაში, ვილნიუსის უნივერსიტეტში, ფინანსური მართვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამაზე სრული დაფინანსებით ჩაირიცხა.

დიანამ ლიეტუვურ ენაზე ფინანსების მიმართულებით ვილნიუსის უნივერსიტეტის 4 გამოცდა წარმატებით ჩააბარა და, როგორც მაღალრეიტინგულმა კანდიდატმა, ასპროცენტიანი გრანტი მოიპოვა, რაც სწავლის ხარჯების სრულ დაფარვას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ დიანამ სამჯერ დაიმსახურა ევროკავშირის დაფინანსება და 1 წლის განმავლობაში ლიეტუვის სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი გახლდათ.

- დიანა, მომავალ პროფესიაზე გვიამბეთ, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

- ბავშვობიდანვე მათემატიკისა და უცხოური ენების შესწავლის განსაკუთრებული ინტერესი მქონდა. ვილნიუსის უნივერსიტეტში სწავლისას გავიგე ამ სასწავლებლის ფინანსების ფაკულტეტისა და მსოფლიოში მოწინავე ბრიტანული ორგანიზაციის (ACCA) პარტნიორობის შესახებ. გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სივრცეში კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბება, რამაც განაპირობა ჩემი არჩევანი.

- პირველი წარმატება...

- პირველ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის წარჩინებით დასრულება და სახელმწიფო დაფინანსებით უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება.

- ევროკავშირის დაფინანსება სამჯერ მოიპოვეთ და ლიეტუვის სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი იყავით...

- უნივერსიტეტში სწავლის დროს კიდევ ერთი უცხოური ენის შესწავლის საშუალება მომეცა საკუთარ ქვეყანასა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ლიეტუველ პროფესორ ვიდას კავალიაუსკასის რჩევით. იგი იშვიათი ადამიანია, რომელმაც დიდი სიყვარული, პატივისცემა და კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. სწორედ მას უკავშირდება წარმატების პირველი ნაბიჯები. ცხადია, არ იყო მარტივი ევროკავშირის დაფინანსების სამჯერ მოპოვება. გზა, რომელიც გამოვიარე სავსე იყო გამოწვევებით, თუმცა დიდი სურვილი, საკუთარი თავის რწმენა და შეუპოვარი ხასიათი დამეხმარა მიზნის მიღწევაში.

- ლიეტუვური ენა, მით უფრო - ფინანსური ტერმინოლოგიით, ალბათ, ძალიან რთულია. როგორ დაძლიეთ ენის ბარიერი?

- ლიეტუვური ენა, მართლაც, საკმაოდ რთულია. თავდაპირველად განსაკუთრებით მოვიხიბლე მისი ჟღერადობით, შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლისას, უამრავი ლიეტუველი მეგობარი შევიძინე, თანდათან კი მეტი ინტერესი გამიჩნდა ამ ენის, ლიეტუველი ხალხის, კულტურისა და ისტორიის შესწავლის მიმართ. ფინანსურ ენას რაც შეეხება, მართლაც ძალიან რთულია, თუმცა ინტენსიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო.

- გაქვთ თუ არა ინტერესის სხვა სფერო?

- მიყვარს კითხვა, ჩოგბურთის თამაში, ცურვა და ცეკვა. თითქმის არ მაქვს თავისუფალი დრო.

- გარდა ფინანსებისა, როგორ ფიქრობთ, კიდევ რომელ პროფესიაში იქნებოდით წარმატებული?

- ფინანსები რომ არა, ალბათ მედიცინას ავირჩევდი, რადგან მიყვარს ადამიანები, ურთიერთობა და მათზე ზრუნვა.

- ლიეტუვის რომელ ქალაქში ცხოვრობთ? რა მოგწონთ ყველაზე მეტად მათ კულტურაში?

- ვილნიუსში ვცხოვრობ ჩასვლიდან დღემდე. ისე ვარ შეყვარებული ამ ქალაქზე, ჩემს მეორე მშობლიურ ქალაქად მიმაჩნია. შეიძლება ითქვას, ყველაფერი მიყვარს და მომწონს ამ ქალაქში.

- ხშირად მოგზაურობთ?

- მიყვარს მოგზაურობა. მიმოგზაურია ევროპის არაერთ ქვეყანაში, მაქსიმალურად ვცდილობ, მას მეტი დრო დავუთმო მიუხედავად შეზღუდული დროისა და დატვირთული გრაფიკისა.

- რას ეტყოდით მათ, ვისაც უცხოეთში სწავლა სურთ?

- ნებისმიერი მიზნის მისაღწევად აუცილებელია საკუთარი თავის რწმენა, შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა, რომელმაც შესაძლებელია, ნებისმიერი წარუმატებლობა მოტივაციად აქციოს.

- სანუკვარი ოცნება...

- ზოგადად, არ ვარ მეოცნებე.

- რა არის თქვენს პროფესიაში პრიორიტეტული?

- ფინანსებში მნიშვნელოვანია სიზუსტე, ფინანსური ინდიკატორების ზუსტი ანალიზი, მოზომილი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, ადეკვატური ფინანსური მართვის სტრატეგიების შექმნა და განხორციელება.

- რა გეგმები გაქვთ?

- თავს შევიკავებ მათზე საუბრისგან, მირჩევნია შედეგებზე ვისაუბრო.

გვერდი მოამზადა
მარიამ ხითარიშვილმა

„ჩემს სურათში ჩემი სულია“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

1980 წლიდან დღემდე აჭარის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი, 2015 წლიდან - აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ***გურამ ფუტკარაძე,*** *რომელმაც 70 წელი უკან მოიტოვა, ჩვენი სტუმარია.*

- თქვენ და ხელოვნება...

- ჩემთვის ხელოვნება, განსაკუთრებით - მხატვრობა ცხოვრების ნაწილია, მის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია. იქ, სადაც ხელოვნება ზეობს, მშვენიერების კანონები მოქმედებს. ვცდილობ, შევქმნა ისეთი ნახატი, რომელიც მოეწონება დამთვალიერებელს, გაუძლებს დროთა ქარტეხილებს. შემოქმედებითი ძიება იყო და იქნება ჩემი საქმიანობის მთავარი მოტივატორი.

- რა ასაკში ეზიარეთ მხატვრობას?

- როგორც ყველა ბავშვს, მხატვრობა მეც პატარაობიდან მიტაცებდა, განსაკუთრებული ფასი კი მაშინ დაედო, როცა სამხატვრო აკადემიაში ჩავირიცხე, სადაც მოხდა ჩემი, როგორც მომავალი მხატვრის, ფორმირება. სახელოვანმა მხატვრებმა მასწავლეს, რომ თვითკმაყოფილება ხელოვნების დეგრადირების დასაწყისია. მხატვარს კარგად უნდა გესმოდეს, რომ შენ მიერ შექმნილი ნაწარმოები შენივე სულისა და სხეულის ნაწილია. არ მავიწყდება შეგონება: „მხატვარი ცალი ხელით ცას უნდა ეხებოდეს, მეორით - მიწას“.

- გვარში ან სანათესაოში თუ გყავდათ მხატვარი, რომლის გზასაც აგრძელებთ?

- შუახევის მუნიციპალიტეტში დღვანი გამორჩეული სოფელია იმითაც, რომ აქ მხოლოდ ფუტკარაძეები სახლობენ. აქაური აკაკი ფუტკარაძე თვითნასწავლი მხატვარია, ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი. სხვას ვერ ვიხსენებ.

- ვისი სურვილით გაჰყევით მხატვრობას?



- მხოლოდ პირადი სურვილით ვეზიარე ხელოვნების ამ დარგს და არც არაფერი დამიკარგავს.

- პირველ პერსონალურ გამოფენას როგორ გაიხსენებთ?

- მაშინ ახალბედა, უცნობი მხატვარი ვიყავი. არ ველოდი, რომ გამოფენით იმ დროის ცნობილი ხელოვანები დაინტერესდებოდნენ. ეს უდიდესი სტიმული იყო. ახლა თავად ვცდილობ, დამწყებ მხატვრებს ის თანადგომა არ მოვაკლო, რაც თავის დროზე ჩემს მიმართ გამოიჩინეს.

- უცხოეთის რომელ ქვეყანაში გაიტანეთ პირველი ნახატები?

- რუსეთში, ვიეტნამში, ბულგარეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში... კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. ნამდვილი ხელოვანი მუდამ შემოქმედებით ძიებაში თუ არ იქნები, მუზაც მიგატოვებს და საზოგადოებაც იზოლაციაში მოგაქცევს. უცხოეთში ნახატების გატანით მრავალი სარგებელი ვნახე, იქაურ მხატვრებთან ურთიერთობები დავამყარე.

- 43 წელია, სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი ხართ. თუ გაიხსენებთ მოსწავლეებს, რომლებიც დღეს შემდგარი მხატვრები არიან?

- ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს აჭარაში ასზე მეტი პროფესიონალი მხატვარია და მათი უმრავლესობა ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის აღზრდილია. ისინი წარმატებით მონაწილეობენ როგორც სამშობლოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ პლენერებში, სიმპოზიუმებსა თუ გამოფენებში.

- აჭარელი მხატვრების თავკაცი რას აკეთებთ, რომ აქ მომუშავე მხატვრებს პრობლემები არ შეექმნათ?

- პრობლემები ყოველთვის იყო და ალბათ, მომავალშიც იქნება. მთავარია, ყველამ ერთად, ურთიერთპატივისცემით ვიზრუნოთ მათ გამოსწორებაზე, ერთი კაცი ვერაფერს გახდები.

- ხულოს სამხატვრო გალერეა რა როლს ასრულებს აჭარისწყლის ხეობის მხატვართა წარმოჩენაში?

- ხულოში მოღვაწე მხატვრის, ღირსების ორდენის კავალერის სიმონ ართმელაძის იდეას, ხულოში დაარსებულიყო სამხატვრო გალერეა, მაშინდელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა, მწერალმა და მეცენატმა თეიმურაზ კომახიძემ ფრთები შეასხა და 2002 წელს ის საზეიმოდ გაიხსნა. მეამაყება, რომ მის დაარსებაში, სხვებთან ერთად, მეც მიმიძღვის მოკრძალებული წვლილი. ხულო ოდითგანვე გამოირჩეოდა ნიჭიერი და სწავლული ადამიანებით. აქ აღიზარდა მრავალი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ექიმი, იურისტი, ხელოვანი. მათ შორის განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო უნიჭიერესი მხატვრები, რომლებიც დიდებულად წარმოაჩენენ აჭარისწყლის ხეობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ხულოს გალერეას, სადაც დაცულია საქართველოს ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, ათვალიერებს უამრავი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტი, ის წარმატებით უწევს პოპულარიზაციას არა მარტო ხეობის მხტვრების შემოქმედებას, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის სახვით ხელოვნებას.

- დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილეზე გაწეული ამაგი დაგიფასდათ, პირველი მხატვარი ხართ აჭარაში, ვისაც აბუსერისძე ტბელის მეორე ხარისხის ორდენი გერგოთ. ამ აღიარებას რით უპასუხეთ?

- პირველ რიგში, მინდა ყველას, ვინც ჩემი ღვაწლი და შემოქმედება დააფასა, უღრმესი მადლობა გადავუხადო. ხელოვანისთვის ყურადღება დიდი სტიმულია მომავალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის. უფალს ვთხოვ, მომცეს ჯანმრთელობა და შრომის უნარი, რათა კიდევ მეტი გავაკეთო სამშობლოს საკეთილდღეოდ, ეროვნული კულტურის წარმოსაჩენად.

- ყველა შემოქმედს აქვს საყვარელი ნაწარმოები ან ნახატი. თქვენ არჩევანს რომელზე გააკეთებდით?

- ცნობილი ქართველი მხატვარი ავთანდილ ვარაზი ამბობდა: „ჩემს სურათში ჩემი სულია, რომელიც კედელზე, ლურსმანზე ჰკიდია“. ძალიან რთულია ნამუშევრების გამორჩევა, ყველა ნახატი თავისებურად საინტერესოა ავტორისთვის და ვერც გასაჩუქებლად ან გასაყიდად იმეტებს.

- ქვეყანაში, აჭარაში მიმდინარე პროცესებს ყოველთვის ეხმიანებით. რა ადგილს დაიჭერს თქვენს შემოქმედებაში შოვის ტრაგედია?

- ეს ტრაგედია მთელი ერის ტკივილია. გვინდა, მხატვრებმა მოვაწყოთ გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხა გადავრიცხოთ დაზარალებულთა დახმარების ფონდში. თანავუგრძნობ ჩემს კოლეგებს, რომელთა ადგილის დედა რაჭაა. უფალმა ერთხელ კიდევ გაგვაფრთხილა, რომ ქართველებმა შური და გაუტანლობა უნდა უკუვაგდოთ. სადაც ადამიანი განადგურებულია, იქ ხელოვნება უკანა რიგებშია გადასული. ერის ისტორიაში, თუნდაც აჭარაში, მრავალი ბუნებრივი კატასტროფების მომსწრენი ვართ. მაშინ თანადგომა და თანაგრძნობა არ მოგვკლებია.

- ბათუმში მოღვაწე მხატვარი რამდენად იცნობთ ქართულ სოფელს?

- დავიბადე ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარში და ბავშვობაც იქ გავატარე. ჩემთვის სოფელი სულ სხვა ცნებაა. როცა აქ ვარ, მაშინ ვგრძნობ თავს სახლში. სოფელმა მასწავლა ბუნების სიყვარული, შრომის ფასი, მეზობლებთან ურთიერთობა, უფროს-უმცროსის პატივისცემა... ამიტომაც ჩემს სურათებში სოფლები სჭარბობს.

- მრავალი მივიწყებული მხატვარი წარმოაჩინეთ, ბოლოს ნოდარ შავაძე გაიხსენეთ.

> ***„ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს აჭარაში ასზე მეტი პროფესიონალი მხატვარია და მათი უმრავლესობა ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის აღზრდილია. ისინი წარმატებით მონაწილეობენ როგორც სამშობლოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ პლენერებში, სიმპოზიუმებსა თუ გამოფენებში***

- კარგ ხელოვანს დავიწყება არ უწერია. მე, როგორც აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ვცდილობ, წარმოვაჩინო ყველა თაობის მხატვარი და დავაფასო მათი ღვაწლი. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ შემეძლება.

- უკვე დროა, ხულოს მსგავსად, სამხატვრო გალერეები სხვა მუნიციპალიტეტებშიც გაიხსნას...

- გალერეა იქ გაიხსნება, სადაც სიტუაცია მომწოდდება. ჩემი აზრით, უფრო აუცილებელია, ყველა მუნიციპალიტეტში არსებობდეს ბავშვთა სამხატვრო სკოლა, რათა სოფელშიც და ქალაქშიც ბავშვებს სწავლის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამის მკაფიო მაგალითია ხულო. იქ სამხატვრო სასწავლებლის გახსნისა და პროფესიონალი მხატვრების დასაქმების შემდეგ, საუკეთესო შედეგები მივიღეთ.

- ამ ეტაპზე რაზე მუშაობთ?

- რამდენიმე კვირის წინ დავათვალიერე სუმელას მართლმადიდებლური მონასტერი და მისი დახატვის სურვილი გამიჩნდა. დავიწყე მუშაობა, მალე დავამთავრებ. ვნახოთ, როგორი გამოვა.

- სახელოსნო, რომელსაც ფლობთ, რამდენად საკმარისია ნორმალური მუშაობისთვის?

- 120 კვადრატული მეტრი ფართობის სახელოსნო, როგორც ახალგაზრდა, აქტიურ მხატვარს, 1980 წელს მთავრობამ უსასყიდლოდ გადმომცა. მაშინ ჩემთან ერთად ანალოგიური სახელოსნო ათზე მეტმა მხატვარმა მიიღო. სახელოსნოები, ძირითადად, მშენებარე კორპუსების სხვენში გაიცემოდა. სახელოსნოს გარეშე შეუძლებელია, მხატვარმა რამე სერიოზული შექმნას. თუ მსგავსი რამ დღესაც განმეორდება, მხატვრებისთვის დიდი სტიმულია.

- ნახატი, რომელიც ყველაზე ძვირად გაქვთ შეფასებული...

- როცა რამეს ვქმნი, ფულზე და გაყიდვაზე არ ვფიქრობ.

- უცხოეთის რომელ ქვეყანაში გყავთ მეგობარი მხატვრები?

- ძალიან ბევრ უცხოელ მხატვარს ვიცნობ და მათთან შემოქმედებითი კონტაქტები მაქვს სოციალური ქსელის საშუალებით, ხშირად ვატარებთ ერთობლივ ღონისძიებებს, პლენერებს, ფესტივალებსა და გაცვლით გამოფენებს.

- თუ გინანიათ ნახატის გაჩუქება და რატომ?

- სამწუხაროდ, კი. ადამიანი რომ ნახატის ჩუქებას გთხოვს და მერე კარადის თავზე შემოდებს ან კედელზე დაზიანებული ადგილის დასაფარად დაკიდებს, ძალიან შეურაცხმყოფელია.

- ნახატი, რომელიც უსაყვარლეს ადამიანს მიუძღვენით...

- თუ ვინმეს ნახატს ვჩუქნი, ვჩუქნი გულწრფელად და არავის ვანსხვავებ.

- ოჯახურ წრეში ვინ აგრძელებს თქვენს გზას?

- შვილები.

- დაბოლოს, რაა მთავარი, პოპულარული მხატვარი რომ გახდე?

- პოპულარული რომ იყო, საჭიროა ნიჭი, შრომისმოყვარეობა და სიყვარული.

ფერმერებისთვის საექსტენციო მომსახურების გაძლიერების მიზნით მემორანდუმი გაფორმდა

პროექტის „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ ახალი ფაზა დაიწყო, - ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. პროექტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო საექსტენციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ინოვაციური და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და ციფრული ექსტენციის სერვისების დანერგვას.

პროექტის განხორციელების ახალი ფაზის დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, გაეროს განვითარების პროგრამის „პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ მენეჯერი ელენე ცხაკაია და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის პროექტის კოორდინატორი თეიმურაზ ხომერიკი ესწრებოდნენ.

„კონფერენციის ფარგლებში, აჭარაში მცხოვრები ფერმერებისათვის, საექსტენციო მომსახურების გაძლიერების მიზნით, მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ დირექტორმა დავით წითლიძემ მოაწერეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ბათუმი სექტემბერში ტურიზმის ოსკარის გალა ცერემონიას უმასპინძლებს

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

როგორ მიმდინარეობს ტურისტული სეზონი აჭარაში, რა გეგმები აქვს უწყებას ამ მიმართულებით, რა ხარვეზებია ტურისტულ სექტორში და როგორ ემზადება ბათუმი მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონიის ჩასატარებლად? - ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ***თინათინ ზოიძე*** *გვესაუბრება.*

- მინდინარე ტურისტულ სეზონს როგორ შეაფასებთ?

- აჭარის რეგიონში ტურისტული სეზონი წარმატებით მიმდინარეობს. ზრდა გვაქვს ყველა მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა, ორი კვარტალის მონაცემებით, მილონ 435 000-ს აღემატება, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადრებით 56%-ით ზრდაა, ხოლო 2019 წლის მონაცემებთან შედარებით - 24%-ით. ჩვენ პანდემიამდელი პერიოდის სრულად აღდგენა შევძელით. 13%-ითაა გაზრდილი შიდა ვიზიტები. აქტიურად ვმუშაობთ ბაზრების დივერსიფიკაციაზე, რომ მოვიზიდოთ უფრო მეტი ვიზიტიორი სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე, პრიორიტეტებზე, ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციასა და სერვისის გაუმჯობესებაზე რეგიონში. წელს განსაკუთრებულად მოემზადა ტურიზმის სექტორი ვიზიტიორების მისაღებად. ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში მათ განახლებულ ტურისტულ სერვისებს ვთავაზობთ. მომავალში არაერთი საერთაშორისო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი.

- წელს საგრძნობლად იკლო ტურისტების რაოდენობამ ევროპიდან...

- ევროპული ქვეყნები და ტურისტული მიმართულებები ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ჩვენთვის. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ლოჯისტიკა, იგულისხმება აეროპორტები და ფრენების პირდაპირი რეისების შესაძლებლობა. შესაბამისად, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი ევროპის 25 ქვეყანაში ასრულებს პირდაპირ რეისებს. ბათუმიდან პირდაპირი ფრენები წელსაც გვქონდა ბალტიის ქვეყნებიდან, სადაც 100%-იანი ზრდა გვაქვს. 12 %-ითაა გაზრდილი ვიზიტების რაოდენობა გერმანიიდან, 41%-ით - დიდი ბრიტანეთიდან, მატებაა ისეთი ტრადიციული სამიზნე ქვეყნებიდან, როგორებიცაა ისრაელი, თურქეთი, ყაზახეთი და სხვა.

- დეპარტამენტის მუშაობაზეც ვისაუბროთ...

- როგორც აღვნიშნე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბაზრების დივერსიფიკაცია. კერძო სექტორთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ საერთაშორისო გამოფენებსა და პიარ-მარკეტინგულ აქტივობებზე, რაც საკმაოდ შედეგიანია. სამ საცდელ ბაზარს - უნგრეთს, ჩეხეთს. ავსტრიას, საკმაოდ საინტერესო ტურისტული პროექტები შევთავაზეთ. ასევე წარმატებით მიმდინარეობდა 12 ქვეყნისთვის ახალი ტურისტული პროდუქტების შეთავაზება უფრო მეტი ტურისტის მოსაზიდად. მთელი წლის განმავლობაში იმართება ინფო და მედიატურები. ამჟამად რეგიონში იმყოფებიან ერთ-ერთი უდიდესი პლატფორმის „ერსფიქსის“ წარმომადგენლები, რომელსაც 24-მილიონიანი აუდიტორია ჰყავს, ბათუმზე გადაღებულ ორ ვიდეოს 15 მილიონზე მეტი ნახვა აქვს. ვაგრძელებთ რეგიონში, როგორც ჟურნალისტების, ისე ბლოგერების მოწვევას, რომლებიც ბათუმის შესახებ ამზადებენ სპეციალურ სიუჟეტებს და საინტერესო ტურისტულ პროდუქტებს აცნობენ თავიანთ გამომწერებს. აქტიურად ვმუშაობთ ტუროპერატორებთან და უშუალოდ ტურიზმის სექტორში პაკეტების როგორც შემქმნელ, ისე რეალიზატორ კომპანიებთან. უნდა ითქვას, რომ ბათუმი წარმოდგენილია მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებზე, რომელიც ტურიზმის სფეროში ტარდება. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ახლახან გაიმართა ბერლინში და საკმაოდ წარმატებითაც წარვსდექით.

- რა ვერ გაკეთდა და მომავალი წლისთვის გადაიდო?

- აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი მუშაობს ექვს მნიშვნელოვან პრიორიტეტზე, რაც ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. სერვისის განვითარების ხელშეწყობა, რეგიონში არსებული საინფორმაციო ცენტრების მართვა და, შესაბამისად, ვიზიტიორების ინფორმაციით უზრუნველყოფა, ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. ამჟამად ვემზადებით მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონიის ღირსეულად მასპინძლობისთვის. მიმდინარეობს რეგიონის მარკეტინგული აქტივობები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, პარალელურად, წარმატებით ვახორციელებთ შიდა ტურიზმის სტიმულირების პროექტებს. ტურისტული სერვისების მდგრადი განვითარება, როგორც ქალაქში, ისე მუნიციპალიტეტებში, უმნიშვნელოვანესია. აქტიურად ვმუშაობთ სხვადასხვა უწყებასთან ერთად, რომ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ტურისტთა ნაკადი გაიზარდოს. შესაბამისად, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს ყველგან. რაც შეეხება ჩვენს საინფორმაციო ცენტრებს, აქ სრულყოფილად აწვდიან ვიზიტიორებს ყველა საჭირო ინფორმაციას. ვფიქრობ, დეპარტამენტი წარმატებით დაასრულებს მიმდინარე წელს.

- რომელი ქვეყნები ლიდერობენ ვიზიტიორთა რაოდენობით?

- ვმუშაობთ 25-ზე მეტ ქვეყანაში და ვატარებთ მარკეტინგულ კამპანიებს. სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნებიდან მეტი ვიზიტიორი შემოდის. ასეა მთელს მსოფლიოში. სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი ერთ-ერთი ყველაზე გამტარუნარიანი საბაჟოა საქართველოში. ჩვენი ვიზიტიორების ტოპათეული კი ასე გამოიყურება: თურქეთი, რუსეთი, ისრაელი, უკრაინა, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი... მატება გვაქვს ბალტიის ქვეყნებიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან. ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას და ვამატებთ ევროპულ ბაზრებს. როგორც აღვნიშნე, გერმანიაში, ბერლინში, ტურიზმის ინდუსტრიაში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე დიდი გამოფენა-ბაზრობა ჩატარდა, რომლის მასპინძელი ქვეყანა საქართველო იყო. ყველა საერთაშორიო ორგანიზაცია დაინტერესდა ჩვენით. გერმანიაში ბევრ საინტერესო პროექტზე დავიწყეთ ერთობლივი მუშაობა, რაც ძალიან გვახარებს.

> ***„სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნებიდან მეტი ვიზიტიორი შემოდის. ასეა მთელს მსოფლიოში. სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი ერთ-ერთი ყველაზე გამტარუნარიანი საბაჟოა საქართველოში. ჩვენი ვიზიტიორების ტოპათეული კი ასე გამოიყურება: თურქეთი, რუსეთი, ისრაელი, უკრაინა, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი... მატება გვაქვს ბალტიის ქვეყნებიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან. ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას და ვამატებთ ევროპულ ბაზრებს***

- გაზრდილ ფასებსა და მომსახურებაში არსებულ ხარვეზებზეც ვისაუბროთ.

- ფასებისა და მომსახურების ხარისხს რაც შეხება, ეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში და რეგიონშიც დღემდე გამოწვევად რჩება. კერძო სექტორი, პროფესიული სასწავლებლები და სახელმწიფო სტრუქტურები ერთობლივად ვმუშაობთ პრობლემის აღმოფხვრაზე. ყოველწლიურად ვატრენინგებთ ტურიზმის სექტორში დასაქმებულ პირებს, ასევე ვამზადებთ იმათ, რომლებიც ახლა ერთვებიან ტურიზმის სხვადასხვა სექტორში და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ სატრენინგო პროექტებს ვთავაზობთ. ფაქტია, რომ ამ მიმართულებით მეტი სიღრმისეული სამუშაოებია ჩასატარებელი. თუმცა, შიდა და საერთაშორისო ვიზიტიორების კვლევებს თუ გადავხედავთ, რომელსაც ჩვენი დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს, სერვისის დონე და ლოიალობის კოეფიციენტი რეგიონში 10%-ით გაუმჯობესდა. ჩვენი მიზანიც საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაა. სერვისის დონე და მომსახურების ხარისხი პირდაპირ კავშირშია ფასებთან. ამ შემთხვევაში ფასებს არეგულირებს ბაზარი და კონკურენცია ობიექტებზე. მნიშვნელოვანია, ამაღლდეს მომსახურების დონე და ვიზიტიორი ამაში შესაბამის თანხას იხდიდეს. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც არის გამოწვევები, რაზეც კერძო სექტორთან ერთად ვმუშაობთ.

- რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ მოქალაქეებს თავიანთ ობიექტებში ემსახურებიან, რომლებიც ქალაქში მრავლადაა, რაც ადგილობრივების პროტესტის მიზეზიც გამხდარა...

- ამ ეტაპისთვის ჩვენს ქვეყანას აღნიშნული მიმართულებით, ლიბერალური მიდგომები აქვს. როგორც იცით, საქართველოს პარლამენტში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაარეგისტრირა ახალი კანონი ტურიზმის შესახებ, რომელიც ქვეყანაში მყოფი ვიზიტიორის ტურისტის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას, სერვისის გამწევი, ორგანიზაციებში ახალ რეგულაციებს ითვალისწინებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარემო, რომელიც ტურიზმის სფეროშია, ეხმარებოდეს ჩვენს სექტორს, გიდებს, სააგენტოებს, სასტუმროებს, კვების ობიექტებს, ყველა ტურისტული პროდუქტის მაქსიმალურად რეალიზებაში. ჩვენ არაერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს ვგეგმავთ სექტორის მხარდაჭერისთვის, რომლის შემუშავებასა და მომზადებაში თქვენ მიერ ჩამოთვლილი ადამიანებიც არიან ჩართულნი.

- ბათუმი ტურიზმის ოსკარის მასპინძლობისთვის ემზადება. რა გაკეთდა და რა იგეგმება ამ მიმართულებით?

- ქვეყანა, ბათუმი ძალიან აქტიურად ემზადება მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონიის ჩასატარებლად. სექტემბრის ბოლოს ვუმასპინძლებთ მსოფლიო ტურიზმის საერთაშორისო ფორუმს. დელეგატებთან ერთად ვიმსჯელებთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც ტურიზმის სექტორის პრიორიტეტია დღეს. საშუალება გვექნება, დავსახოთ გეგმები, რომელიც ჩვენს რეგიონში მდგრადი ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. ბათუმში ველოდებით ევროპის ყველა ქვეყნის ტურისტული სექტორის წამომადგენელს, მაღალი რანგის დელეგატებს, რომლებთან ერთადაც ვგეგმავთ ძალიან საინტერესო პრეზენტაციებს საქართველოს კულტურის, ტრადიციების და ისტორიის წარმოსაჩენად. აქტიურად ვმუშაობთ სხვადასხვა უწყებასთან, რათა უმაღლეს დონეზე და მაქსიმალურად მიმზიდველად წარვსდგეთ ამ ღონისძიებაზე, უფრო მეტ ადამიანს გავუჩინოთ ჩვენი ქვეყნის მონახულების სურვილი. ღონისძიება პირდაპირი ეთერით გადაიცემა ბევრ ქვეყანაში. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ჟურნალისტებისა და კერძო სექტორის ჩართულობა და მხარდაჭერა ამ პროცესში. ერთობლივად, სათანადოდ და მრავალფეროვნად უნდა წარვადგინოთ ჩვენი ქვეყანა ამ ღონისძიებაზე, რათა სათანადო ადგილი დაიკავოს ტურიზმის საერთაშორისო რუკაზე.

ბათუმი „ღამის სერენადებს“ 2 დღეს მასპინძლობს

პირველი გვერდიდან

ფესტივალთან დაკავშირებით, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში მედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენცია მოეწყო, რომელშიც ფესტივალ „ღამის სერენადების“ სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაში, ფესტივალის დირექტორი ნინა ცაგარელი, ორკესტრ „საქართველოს ვირტუოზების“ კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე მონაწილეობდნენ.

აღინიშნა, რომ წლების განმავლობაში ეს ფესტივალი გამოირჩეოდა განსხვავებულობით. წელსაც ის ჩვენი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და როგორც სოფო ხალვაშმა აღნიშნა, ბათუმის მერია ყოველთვის იქნება მისი მხარდამჭერი.

აკაკი ძნელაძის თქმით, „ღამის სერენადები“ არა მარტო ბათუმისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვისაა მნიშვნელოვანი, რადგან მისი დამაარსებელი გენიალური მუსიკოსი ლიანა ისაკაძეა.

გიორგი ისაკაძემ იმ პროგრამაზე ისაუბრა, რომელსაც ფესტივალი 24 და 25 აგვისტოს სთავაზობს ბათუმელებსა და მის სტუმრებს. აღინიშნა, რომ წელს ფესტივალი ბორჯომს დაუბრუნდა და იქაურმა კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. ბათუმსაც ელის ორი კარგი საღამო - შესანიშნავი სოლისტებითა და საინტერესო პროგრამით.

გუშინ, საღამოს, თეატრის სცენა დაამშვენეს ეილიკა ვუნშმა და რიკარდო მარინელომ. მათი შესრულებით ცნობილი საოპერო არიები, დუეტები, ნეაპოლური სიმღერები აჟღერდა, ხოლო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა კორეელმა მევიოლინე ჰეიონ პარკმა ქართველ პიანისტ თამარ ლიჩელთან ერთად სეზარ ფრანკის სავიოლინო სონატათი დაატკბო მსმენელი.

დღეს, საღამოს, ჰეიონ პარკი ორკესტრ „საქართველოს ვირტუოზები“ თანხლებით შეასრულებს ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტს, ასევე შესრულდება ინგლისელი კომპოზიტორის რალფ ვოან უილიამსის „The Lark Ascending („ტოროლას აფრენა“) თამარ ლიჩელთან ერთად.

ფესტივალის შემდეგი სამი კონცერტი სექტემბერში თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

ფესტივალის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემეცნებითსაგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, მათ შორის შშმ პირებისთვის გაიმართება დარგობრივი მასტერკლასები, ვორქშოპები და ღია ლექციები.

XV საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ 24 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქში დაიხურება.

რუსუდან სიხარულიძე - ქართული ტანვარჯიშის სირთულეებსა და სასიხარულო სიახლეებზე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში თერთმეტდღიან აღდგენით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ ტანმოვარჯიშეები ქუთაისიდან და თბილისიდან. მათთან ერთად შეკრება ბათუმელმა სპორტსმენებმაც გაიარეს

შეკრებას საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში რუსუდან სიხარულიძე ხელმძღვანელობდა. როგორც გვითხრა, შეკრებებით განებივრებულები არ არიან, რადგან ფედერაციას საამისოდ დიდი თანხები არ გააჩნია, თუმცა წელიწადში ორჯერ მაინც ახერხებენ პატარა ასაკის ტანმოვარჯიშეების ჩამოყვანას. შეკრებაზე 14 გოგონას (9-10 წლების ასაკობრივი ჯგუფი) მწვრთნელები ახლდნენ. დარბაზში მუშაობას დილით აქტიური დასვენება - ზღვა, ცურვა, საერთო ფიზიკური მომზადება შეუხამეს. პატარებთან ერთად შეკრება უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშე ანი გობაძემაც გაიარა.

საქართველოს ვაჟთა ნაკრების მწვრთნელმა **ლუკა მესხმა** გვითხრა, რომ ახლა ცოტა რთული პერიოდი უდგათ, რადგან რამდენიმე ხნის წინ ანტალიაში, ევროპის ჩემპიონატზე, სამმა ტანმოვარჯიშე ვაჟმა ტრავმა მიიღო და ბათუმში სწორედ ისინი ჩამოიყვანეს ოპერაციისშემდგომი რეაბილიტაციისთვის. კითხვაზე, როგორ შეაფასებს ბათუმელ ვაჟ ტანმოვარჯიშეებს, გვიპასუხა, რომ მათ ძალიან კარგი მონაცემები აქვთ, თუმცა კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო.



ქუთაისის ტანვარჯიშის სპორტსკოლის პედაგოგი, მწვრთნელი **თეა ჯანაშია** შეკრებით კმაყოფილია.

- ქალბატონი რუსუდანის მეთვალყურეობის ქვეშ ვვარჯიშობთ, რამაც დიდი გამოცდილება შეგვძინა. სწორ მიმართულებას გვიჩვენებს, გვასწავლის, გვერდით გვიდგას. ეს მასთან ერთად უკვე მესამე შეკრებაა. ქალბატონ რუსუდანთან მუშაობა დიდი ბედნიერებაა და ამისთვის დიდი მადლობა მას, - აღნიშნა თეა ჯანაშიამ.

რუსუდან სიხარულიძეს, როგორც საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს სპორტის ამ სახეობის საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრეთ.

- ქალბატონო რუსუდან, რა მდგომარეობაა ამჟამად ქართულ ტანვარჯიშში?

- სასიხარულო ამბავი გვაქვს - ჩვენმა დაჩი დოლიძემ (სხვათა შორის, ის ბათუმიდანაა, ამჟამად თბილისში ცხოვრობს) ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. თუმცა შეეძლო უფრო მაღალი სინჯის მედლის მოპოვება თავის საყვარელ იარაღზე - ტაიჭზე, მაგრამ ჩამოხტომი გაუფუჭდა და ბრინჯაოს დასჯერდა.

- გოგონებში როგორაა საქმე?

- აქაც გვყავს ბევრი პერსპექტიული ტანმოვარჯიშე როგორც თბილისში, ისე ქუთაისსა და ბათუმში, მაგრამ ცენტრალიზებას ვერ ვახერხებთ. ამას პირობები უშლის ხელს. ჩვენი სახეობა ძალიან რთულია, ზოგჯერ დღის განმავლობაში ორი-სამი ვარჯიში გვჭირდება, ჩვენ კი მხოლოდ ერთხელ ვვარჯიშობთ. ეს ბავშვები ვერ ჩამოგვყავს თბილისში, რადგან არ გვაქვს სასტუმრო, სადაც დავაბინავებთ, დარბაზი კი არაჩვეულებრივია.

- ბათუმელ ტანმოვარჯიშეებზე რას გვეტყვით?

- თბილისთან შედარებით, ბათუმსა და ქუთაისში უფრო მეტად ინტერესდებიან სპორტის ამ სახეობით, მოსწონთ, უნდათ, მაგრამ დროზე თუ არ ჩაუყარე საფუძველი, მერე ვარდება მათი მომზადების დონე.

- ბათუმში სად ვარჯიშობდით?

- ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ფიზკულტურის დარბაზში. მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლე კი გაიხსნა, მაგრამ ჯერ სპორტული ინვენტარი სრულად არ არის შეძენილი, რის გამოც, ფაქტობრივად, ჩემი სახელობის ტურნირსაც ვერ ვატარებთ უკვე მეექვსე წელია. ვიცი, რომ იარაღების ნაწილი უკვე შესყიდულია და ნაწილზე ტენდერია გამოცხადებული. ეს პრობლემა რომ მოგვარდება, სამუშაო პირობები ბათუმში გამოსწორდება. მერე, ალბათ, მწვრთნელთა კადრები იქნება საფიქრალი. დარბაზის მდგომარეობა ქუთაისშიც არაა სახარბიელო. ამდენი წელია, პოროლონის ორმო არა გვაქვს. ეს აუცილებელია, რათა ტანმოვარჯიშე ტრავმისგან დაცული იყოს. მის გარეშე დღევანდელი ტანვარჯიში წარმოუდგენელია. ყველანაირად გვეხმარებიან ტურნირების ჩატარებაში, მაგრამ ამ საკითხს არ ეშველა. არადა, ქუთაისსაც კარგი ბავშვები ჰყავს.

- რუსუდან სიხარულიძე მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ტანვარჯიშში...

- რასაკვირველია, რომ იტყვიან - ცა და დედამიწა. მაშინაც კი დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი და ამ ბავშვებს ამ გართულებულ ტანვარჯიშში ერთხელ ვარჯიში რას ეყოფათ? ამ თემაზე როცა ვლაპარაკობ, ეს პრობლემა ყველას არ ესმის. მეთანხმებიან, მაგრამ არსს ვერ სწვდებიან.

- ამჟამად რომელი ასპარეზობისთვის ემზადებიან ჩვენი ტანმოვარჯიშეები?

- ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატი გვაქვს, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ჩვენი ფედერაცია ამ ჩემპიონატს ბათუმში ხშირად ატარებდა, მაგრამ ის ინვენტარი, ფიზკულტურის დარბაზში რომ დევს, იმდენად ამორტიზებულია, რომ ბავშვმა შეიძლება ტრავმა მიიღოს, ამიტომ ტურნირებიც შევაჩერეთ.

- როგორ ჩაიარა საწვრთნელმა შეკრებამ?

- შესანიშნავად. ბავშვები დიდი სიამოვნებით ვარჯიშობდნენ, თუმცა უნივერსიტეტის დარბაზში უკვე აღარ არის პირობები. არ არის ეგრეთ წოდებული აკრობატული ბილიკი, არც ხალიჩა ვარგა, იარაღებიც მოძველებულია. ორძელის ღერძი გაღუნულია, პრიმიტიულ ილეთებს თუ გავაკეთებთ, თორემ რთულზე არცაა საუბარი, რადგან საშიშია, არ გატყდეს... ამიტომ მოვითხოვეთ ახალი იარაღები. ისიც უნდა ვთქვა, რომ ყველა გვეხმარება, აჭარის ხელმძღვანელობაც. ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გადაგვიყვანონ ახალ დარბაზში. ისიც კარგად გვესმის, რომ ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული - სპორტული ტანვარჯიშის იარაღები არაა იაფი.

- გაისად სერიოზული ღონისძიებები თუ გაიმართება?

- კი - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური ციკლიცაა. ფედერაციას ამ მხრივ ბევრი საფიქრალი ექნება. ტანმოვარჯიშეებმა თუ არა, შესაძლოა, ბატუტზე მხტომელებმა აიღონ ლიცენზია ან მხატვრული ტანვარჯიშიდან - ვინმემ. ჩვენც გვაქვს შანსი სპორტულიდან, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს. ევროპაზე ჯანმრთელი ბავშვები წავიყვანეთ და სამივემ ჩემპიონატის დაწყებამდე მიიღო ტრავმა. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო სასტუმრო „ადელის“ ხელმძღვანელობას, სადაც ვართ დაბინავებული, პირადად ლევან ადეიშვილს, არაჩვეულებრივი პირობები შეგვიქმნეს. ბატონი ლევანი ყველანაირად გვიწყობს ხელს. მას სპორტთან ბევრი რამ აკავშირებს და ჩვენი ძალიან კარგად ესმის.

ანდრეი დემჩენკო - „დინამო ბათუმის“ ახალი მწვრთნელი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმის“ გენერალური დირექტორის ასლან ბალაძის ინფორმაციით, ანდრეი დემჩენკოს ბათუმში დღეს ელოდებიან

გუშინწინ კლუბმა ახალ მწვრთნელთან ყველაფერი შეათანხმა და უკვე საღამოს გადაწყდა: ანდრეი დემჩენკო გუნდს სათავეში 24 აგვისტოდან ჩაუდგებოდა და, სავარაუდოდ, პირველ ვარჯიშსაც გამართავდა.

დემჩენკომ ბათუმელთა ყოფილი მწვრთნელი გია გეგუჩაძე შეცვალა, რომელმაც თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა მას შემდეგ, რაც ჩვენმა გუნდმა ევროთასებზე წარუმატებლად ითამაშა.



შავიზღვისპირელებმა უკრაინელ სპეციალისტთან კონტრაქტი 2025 წლის ბოლომდე გააფორმეს.

ანდრეი დემჩენკო გორის „დილას“ 2021 წლის იანვრიდან ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით კლუბი ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მანამდე ის უკრაინულ კლუბებში მუშაობდა („მეტალისტი 1925“ და „ბუკოვინა“).

27 აგვისტოს ბათუმელები თბილისში „გაგრას“ ხვდებიან და ანდრეი დემჩენკოს დებიუტი საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმის“ მთავარი მწვრთნელის რანგში, სწორედ იქ შედგება.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს გუნდსა და ახალ მწვრთნელს.

მალე 3 საბავშვო ბაღი ამოქმედდება

ბათუმში, ქათამაძის ქუჩაზე ახალი, ორსართულიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა სრულდება. უკვე მოეწყო ეზო, განთავსდა საბავშვო ატრაქციონი და ფანჩატურები. ბაღი, რომელიც სრულად ადაპტირებულია, 270 აღსაზრდელზეა გათვლილია.

მშენებლობისთვის 1 მილიონ 704 ათას 652 ლარი გამოიყო.

საბავშვო ბაღში მიმდინარე სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე გაეცნენ.

როგორც არჩილ ჩიქოვანი ამბობს, წელს ბათუმში დაგეგმილია და მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 22 საბავშვო ბაღის მშენებლობა და რეაბილიტაცია. აქედან 12 ბაღში ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება. მისივე თქმით, ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები სრულდება ქათამაძის, ბაგრატიონისა და მეზღვაურთა ქუჩებზე. ბაღის ტერიტორიაზე ეწყობა სპორტული

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/08/23, 18 ³⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მსოფლიო ვარსკვლავ მია ვასიკოვსკას ეკა ჩავლეიშვილის ეთერომ საკუთარი მამიდა გაახსენა

მარინა მითაიშვილი 593 31 73 90

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის ნომინაციაში - ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის გამარჯვებული ეკა ჩავლეიშვილი (ელენე ნავერიანის ფილმში „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ მთავარი გმირის, ეთეროს, განსახიერებისთვის) დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, თბილისში 20 აგვისტოს დაბრუნდა

„მეშინია, არ გავგიჟდე“, - ასე გამოხატა ეკამ ჩვენთან თავისი ემოცია ამ დიდ წარმატებასთან დაკავშირებით დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, რომელიც სარაევოს დრამატული თეატრის უძველეს და ულამაზეს შენობაში 18 აგვისტოს გაიმართა.

სანამ უცვლელად გადმოგცემდეთ მის შთაბეჭდილებებს, მხოლოდ ერთ ძალიან საინტერესო გარემოებას გავუსვამთ ხაზს - ეკასი

და მთლიანად ფილმის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა ავსტრალიელმა მსახიობმა მია ვასიკოვსკამ, რომელსაც ძალიან მოეწონა ელენე ნავერიანის ეს ფილმი და ბედნიერი დამთხვევის წყალობით, სწორედ ის აღმოჩნდა კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე. ამ მსახიობმა მსოფლიო პოპულარობა ფილმში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ მთავარი როლის შესრულების შემდეგ მოიპოვა.

- ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები ვსეირნობდით საღამოს სარაევოს ულამაზეს ქუჩებში, როცა გამაჩერა ერთმა ქალმა, რომელსაც ორი თანმხლები ჰყავდა და მითხრა, - გილოცავთ გამარჯვებას, ეთეროს თამაშის დროს თქვენი თვალების გამომეტყველებით უსიტყვოდაც მივხვდი, რას განიცდიდა ეს გმირიო. მეხუტა და მეფერა. ასე მგონია, მამიდაჩემის ამბავს ვუყურებდი ეკრანზეო, მითხრა ქალმა, რომელიც უცებ ვერ ვიცანი, მია ვასიკოვსკა ყოფილა. დედა და დეიდა ახლდნენ. თურმე სარაევოს ფესტივალზე ჟიურის თავმჯდომარეობდა.

ლამაზი და კოხტაა სარაევო. მთელ ქალაქში ფესტივალის ბანერებია გაკრული. ძალიან კარგად ორგანიზებული ფესტივალია.

სადაც კი შევედით, მაღაზიაში, მუზეუმში, ფულის გადასახურდავებელ ჯიხურში, აფთიაქსა თუ სხვა სივრცეში, აბსოლუტურად ყველგან მცნობდნენ, მილოცავდნენ და მეხუტებოდნენ. ცრემლებით ევსებოდათ თვალები... სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მეუბნებოდნენ, - ეთეროს ისტორია ძალიან ჰგავს ჩემი ბებიის, დეიდის თუ მამიდის ისტორიასო. მართლაც, ძალიან სამართლიანი, ძლიერი და ამავდროულად, უსაყვარლესი პერსონაჟია ეთერო.

სამწუხაროდ, ფესტივალზე სხვა საკონკურსო ფილმების ნახვა ვერ მოვახერხე, ამიტომ არც კი ვიცი, ვის ვეჯიბრებოდი. ვიყავი ჩემთვის მშვიდად და უცებ არ გამოაცხადეს ჩემი სახელი!.. პატარა ოცნება მქონდა სულ - ოდესმე წითელ ხალიჩაზე თუ გავივლი, თუ დამაჯილდოებენ და სამადლობელ სიტყვას ვიტყვი, ნეტავ, ისე არ დავიბნე, რომ ჩემს ორ ცალ შვილს მადლობა არ გადავუხადო-მეთქი. ძალიან გამიხარდა, რომ მოვახერხე და კესანე და ლილინო ვახსენე. მადლობა ჩემს შვილებს, რომ ყოველთვის ჩემ გვერდით დგანან. მადლობა ელენეს, პროდიუსერებს ქეთი დანელიას და თომას რაიხლინს, გადამღები ჯგუფის თითოეულ წევრს. არანორმალური შრომა გავწიეთ ყველამ და დაგვიფასდა კიდევაც. კარგ ფესტივალებზე მოგზაურობს ჩვენი ფილმი, წინ ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. უფრო მეტი ადამიანი ნახავს ამ ქართულ კინო-



სურათს და იმედი მაქვს, საინტერესო როლებს შემომთავაზებენ, - თქვა „აჭარასთან“ საუბარში ეკა ჩავლეიშვილმა, რომელიც პირობას არ არღვევს (ამ შეთანხმებაზე ადრე ვწერდით) და ჩვენს გაზეთს ყოველთვის ექსკლუზიურად აძლევს ინტერვიუს.

ეკას ნაამბობიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის მონაკვეთი, სადაც ამბობს, როგორ ცნობდა და ეფერებოდა სარაევოში ყველა. ეს, მართლაც, ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის. ვისურვებდი, ბათუმური კინოფესტივალიც, „ბიაფი“, ისეთი პოპულარული გამხდარიყოს, უპირველეს ყოვლისა, თავად ბათუმელებს შორის, რომ მთავარი ნომინაციების მფლობელებს ქუჩასა თუ ნებისმიერ დაწესებულებაში ყველა ცნობდეს... თანაქალაქელების საყურადღებოდ, რომლებიც მოუთმენლად ელიან „შაშვი, შაშვი, მაყვალის“ ნახვას - ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალ „ბიაფის“ ორგანიზატორები ფილმის ჩვენებას ამ კინოფორუმის ფარგლებში გეგმავენ.

„ვიზიტი“ – სპექტაკლი, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა მძაფრ ემოციას იწვევს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სპექტაკლი სახელწოდებით „ვიზიტი“ დაიდგა

პიესის ავტორი ნიჭიერი ახალგაზრდა გუგა მგელაძე გახლავთ, რეჟისორი - ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი ტიტე კომახიძე. პროექტი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერით განხორციელდა.

სპექტაკლი ადამიანის ყოფაზე მოგვითხრობს, იმაზე, რომ იგი გაჩენის დღიდან ეჭვების ქსელშია გახვეული. ყოფიერების საზრისი, სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერთმიმართების საკითხი, გადარჩენის, ხსნის იდეა, მორალი, საკუთარი ადგილის და ფუნქციის ძიების დაუოკებელი სურვილი... ყველაფერი ეს მისი მუდმივი დაეჭვების, სკეფსისის და ინტერესის რეალური მიზეზია. „ვიზიტში“ კონფლიქტური მოცემულობა თანდათან ერთგვარ საპაექრო რინგად იქცევა, ხოლო ფინალში სპექტაკლი პარაბოლის უნივერსალურ სახესაც იძენს - კიდევ ერთი დიდი მიახლოება იმ მარადიულ შეკითხვებთან, რასაც არქაული დროიდან უტრიალებს კაცობრიობა.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა, სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავი მძაფრი ემოციის ფონზე, რომელიც ერთდროულად გაშინებს, გაცინებს და გატირებს კიდეც.

დასასრულს, კომენტარი ტიტე კომახიძეს ვთხოვეთ, რომელიც ამჯერად, რეჟისორის ამპლუაში მოგვევლინა:

- „ვიზიტი“ არის ფსიქოლოგიური დრამა, რომლის პიესის ავტორი ბათუმელი დრამატურგი გუგა მგელაძეა. აქ მოცემულია ერთი ადამიანის ცხოვრება და მისი შინაგანი სამყაროს გაორება - როგორ შეიძლება ადამიანი გახდეს საკუთარი თავის და კომპლექსების მსხვერპლი და შემდეგ გათავისუფლდეს ამ კომპლექსებისგან. რეჟისორის ამპლუა პირველად მოვირგე. გარკვეული პერიოდი ავად ვიყავი, სპექტაკლებში ვეღარ ვთამაშობდი, არ შეიძლებოდა ფიზიკური დატვირთვა. ჩემი პროფესიისგან და თეატრისგან თავი განდეგილად რომ არ მეგრძნო, სპექტაკლის დადგმა გადავწყვიტე. ჩემი მცდელობა, მგონი, მაყურებელმა კარგად მიიღო. შესაძლოა, მომავალშიც დავგეგმოთ სპექტაკლები. ერთი

სიტყვით, ვაგრძელებ ჩემს პროფესიაში მოღვაწეობას.

რამდენიმე კითხვით მივმართეთ სპექტაკლში მონაწილე სამივე მსახიობს, რომლებიც, რეალურად, ერთ ადამიანს ასახიერებენ. მათ გმირს გაორება, შეიძლება ითქვას, გასამეცაც კი აქვს. იგი მუდამ საკუთარი თავის ძიებაში, ფიქრებში და ეჭვებშია. ერთი პიროვნება ექიმია (ამ გმირს მიხეილ ღომიძე თამაშობს), რომელიც საკუთარ თავსვე ეხმარება, მეორე - გამუდმებით თავის სახეს ეძებს, სხვადასხვა ნიღბებს ირგებს და ვერ პოულობს (გიორგი ყურავას პერსონაჟი), მესამე პირი კი თავადვეა (თორნიკე ბარამიძე).

- ასეთ ჟანრში პირველად ვითამაშე და ძალიან უჩვეულო იყო. ჩემს პროფესიაში ეს სპექტაკლი განსხვავებული და საინტერესოა. ბედნიერი ვარ, რომ ამ პიესით სხვადასხვა ემოცია და განცდა შევიძინე. მოგეხსენებათ, ტიტე შეუდარებელი მსახიობია, ამჟამად, როგორც რეჟისორმა, ყველაფერს ძალიან კარგად გაართვა თავი. ეს რთული პიესა ჩვენთან ერთად განავრცო, მასზე დეტალურად იმუშავა. როგორც ყოველთვის, თვითკრიტიკული ვარ და საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ვარ, - გვითხრა მიხეილ ღომიძემ.

- სპექტაკლში ასახულია ადამიანის შინაგანი პროცესები, ცნობიერის, ქვეცნობიერის ამოძახილი... ხმები, რომელიც არ მოგვწონს, ტვინს გვირეკს. ჩემს პერსონაჟს გაორება აქვს, - ერთმანეთს ებრძვიან კარგი და ცუდი ხმები, რომლებიც არასწორ შფოთვას იწვევენ, გაკომპლექსებენ და გეუბნებიან, რომ არაფერი გამოგივა, ცუდი ხარ... რეალურად, შინაგანი ხმა ყოველთვის იქნება, მაგრამ დადებითი ხმა უნდა დავიტოვოთ ჩვენში, რომლებიც პიროვნული ზრდისთვის არის საჭირო. სპექტაკლზე მუშაობის პროცესი საკმაოდ რთული იყო. დავრწმუნდი, რომ ყოველ ჯერზე, შეგიძლია საკუთარ თავში რაღაც ახალი აღმოაჩინო. რეალურად, მსგავსი მდგომარეობა ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ ამ ყველაფრის სცენაზე გადატანა ძალიან მძიმე აღმოჩნდა. დრამატურგმა თითოეულ ჩვენგანს პიესა საკმაოდ კარგად მოგვარგო, თუმცა მაინც გვეშინოდა, მაყურებელი როგორ მიიღებდა ამ სახის სპექტაკლს. ბოლო დღეებში ძალიან ვნერვიულობდით, არ ვიცოდით, რამდენად სწორად მივაწვდიდით სათქმელს მაყურებელს, როგორ გაგვიგებდნენ ისინი. არ ვიცი, ეს რამდენად მოვახერხეთ, დადებითი ემოციები კი ნამდვილად მივიღეთ და საბოლოო ჯამში, სპექტაკლს მაყურებლებისგან კარგი გამოხმაურება ჰქონდა, - გვითხრა თორნიკე ბარამიძემ.

- ამ როლის შესრულება ნამდვილად რთული იყო, თუმცა ვფიქრობ, ასე თუ ისე გავართვი თავი. ეს პერსონაჟი სულ ცვლილებებშია, დასაწყისში სხვა ხასიათით შემოდის, ფინალისკენ კი აბსოლუტურად იცვლება. ამ ხასიათის გახსნამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. ტიტესთან მუშაობაც ძალიან საინტერესო იყო. მოხიბლული ვარ მისი რეჟისურით და არამარტო - მსახიობობითაც. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ვფიქრობ, ტიტემ ბევრი რამ მასწავლა ამ როლზე მუშაობისას. ამგვარ ჟანრში პირველად ვითამაშე და მომეწონა, - გვითხრა გიორგი ყურავამ.

აქვე გეტყვით, რომ სპექტაკლის მხატვარი ოთარ დოლიძეა, მუსიკალური ოპერატორი - ლამუნა მიქაუტაძე, მხატვრული განათება რეზი ლორთქიფანიძესა და დავით დიასამიძეს ეკუთვნით, ტექნიკური რეჟისორი კი ელენე კომახიძეა.